წელიწადი მეორე
ფასი 7 კაპ.
შაბათი, 5 გიორგობისთვე 1916 წ. № 247

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

კვირას, 6 გიორგობისთვეს, დიდუბის ეკლესიაში, გარდაცვალებიდან ექვსი თვის თავზე, დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულ მგოსან

იროდიონ ისაკის ძე
ევდოშვილ-ხოსიტაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით იუწყება განსვენებულის ქვრივი მარიამ ხოსიტაშვილისა შვილებით.

პელაგია ფირანის ასული აბულაძისა, სანდრო, იუსტინე, გიორგი და ბესარიონ ირაკლის ძენი აბულაძენი, ელისაბედ ირაკლის ასული გულისაშვილისა, ნადეჟდა, ნინო და ოლღა აბულაძისანი, ილარიონ მიხეილის ძე გულისაშვილი, აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობთ, რომ კვირას, 6 გიორგობისთვეს, როკითის მაცხოვრის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი პირველისა—დაუვიწყარი მეუღლის, მეორეთა—საყვარელი მამის, მესამეთა—ძვირფასი მამამთილის და მეოთხის—საყვარელი სიმამრის

ირაკლი გიორგის ძის
აბულაძის

სულის მოსახსენებლად. დასაწყისი დილის 9 საათზე.
(1—383—1)

თბილისის სამეურნეო ბანკისაგან
ვისაც სურს შეიძინოს ახალი
სამხედრო სესხის $5\frac{1}{2}\%$-იანი
ბილეთები,
შეუძლიან მიჰმართოს სამეურნეო ბანკს
(1—234—1)

ქ. ქუთაისში ახლად დაარსებული
„საურთიერთო ნდობის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საზოგადოების“
საორგანიზაციო კომიტეტი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხსენებული საზოგადოება დაიწყებს თავის მოქმედებას მომავალი 1917 წლის 1 იანვრიდან; წევრების მიღება კი დაიწყება მდგომარე წლის 7 ნოემბრიდან.

ვისაც სურს საზოგადოების წევრად ჩაწერა, განცხადებით უნდა მიმართოს კომიტეტის წევრს—ხაზინადარს ა. მ. კრინიცკის, ქ. ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩაზე, შავი-ზღვის მრეწველთა საბჭოს სადგომში, და თან შეიტანოს იმ კრედიტის 10%, რომლის გახსნასაც თხოულობს.
3—233—1)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე	ჩაი
სადილები	ყავა
ვახშმები	ხაჭაპური პიროჟკები

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით **ხილ. ხ. ვიგიბერია.**

სავაჭრო სახლი
„ძმ. სესიევები და ამხ.“
(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

ქ. თბილისში დაარსდა
მელნის ქარხანა
„ალაროდია“

ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,
ალიზარინის ფერისას

პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით.
ლაზარეთებს და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.
მელანი ახლის გადახალებადაც (კაპიროვკა) კარგია.
დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება
ადგილობრივ თუ გაგზავნით.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“.
(თ.—228—თ.)

საუკეთესო
სასადილო
„ეკონომია“
პუშკინის ბაღის პირდაპირ.

„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღე: ხარშო, ლობიო, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები მეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარაქით ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი
დიმიტრი უხ. ვიგიბერია და ნ. გ. ქურთაური
(თ. 253)

ღვინის საწყობი
ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოო ნამდვილი
კახური ღვინო
განოვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

ექიმი
ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9\frac{1}{2}$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

საჭიროა მუშები
რკინის გზის სამუშაოთ
მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მიხაილოვის ქ. № 109. ფოტოგრაფში.
(4-382-2)

ექიმი
პ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნისა და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

საერთაშორისო მდგომარეობა

რაც დრო გადის, მით უფრო ძლიერი ხდება გერმანელების მადა. მკითხველს ეხსომება, რომ იმპერიის კანცლერი შარშან კიდევ საკმაოთ ზომიერი იყო თავის საჯარო სიტყვებში. განსაკუთრებით როცა საკითხი ბელგიასა და საფრანგეთს შეეხებოდა: ბეტმან ჰოლვეგის მიხედვით გერმანია მზად იყო გაენთავისუფლებინა დაპყრობილი ტერიტორია, ორიოდე სტრატეგიული ადგილის გამოკლებით. უკიდურესი ანექსიონისტები დიდათ უკმაყოფილონი იყვნენ კანცლერისა. დღეს, როგორც სჩანს, ეს უკმაყოფილება თანდათან სცხრება. ანექსიის იდეა ფესვს იკიდებს მთელ გერმანელ ერში გარდა სოციალ-დემოკრატიული უმცირესობისა. თვით იმპერიის კანცლერი კი უფრო და უფრო კადნიერი ხდება თავის მორიგ საპარლამენტო სიტყვაში. ბოლო დროს გერმანიის რეიხსტაგსა და პრესაში აშკარად ლაპარაკობენ ბელგიის შემოერთების შესახებ. და ეს იქ აღარავისში იწვევს აღშფოთებას. გერმანელები ამტკიცებენ, რომ მათი მსხვერპლი თანდათან იზრდება ომის მსვლელობაში, ამისდა მიხედვით უნდა გადიდებულ იქმნას სანაზღაუროც. ახირებული მხოლოდ ის არის, რომ გერმანია თითქო ყველაზე მეტად ინგლისის წინააღმდეგ არის გაავთრებული, მისი დაშოშმინება კი პატარა ბელგიის გადაყლაპვით უნდა მოხდეს, რომელსაც ამ მსოფლიო შეჯახებაში არაფერი ბრალი მიუძღვის, უფრო ზნეობრივი მოსაზრებებით ჩაერია და ახლაც არაფერს ოცნებობს გარდა თავისი დამოუკიდებლობის აღდგენისა.

მაგრამ გერმანელი იმპერიალისტები ამტკიცებენ, რომ მათ მოეპოებათ ერთი მალამო, რომლის შემწეობით ბელგიას გაუადვილდება მოსალოდნელი სადოსტაქრო ოპერაციის ატანა. ეს მალამო ფედერაციის პრინციპია. ცნობილია, რომ ზოგიერთ თანამედროვე პოლიტიკოსის შეხედულებით პატარა ერს უჯობს, რომელიმე დიდს ფედერატიულს კავშირში შევიდეს, ვიდრე სრულიად დამოუკიდებელი იყოს. ფედერაცია თითქო უფრო დაიცავს გარეშე მტრისაგან, შინაგან საქმეთა გაძღოლასაც გაუადვილებს. გერმანელი სახელმწიფო მოღვაწეები ირწმუნებიან, რომ მათ ძალა შესწევთ ეს კეთილისმყოფელი პრინციპი ცხოვრებაში სრულჰყონ, თვითონაც ისარგებლონ, სხვასაც ასიამოვნონ. ასე რომ ბოლოს სიქველეც დაცულ იქნება, კაპიტალიც შეიძინება.

ცნობილია, რომ გერმანიის იმპერია ფედერატიული სახელმწიფოა: ის შესდგება რამოდენიმე სამეფოსა, სამთავროსა და რესპუბლიკისაგან. საერთოდ მას ოცდა ორი გვირგვინოსანი თავი აქვს ერთის მაგივრად. ვილჰელმ მე-II მხოლოდ უმაღლესი მწვერვალია ამ თავისებური პოლიტიკური აღსავალისა. ასეთ მდგომარეობას თავისი ბნელი და თავისი ნათელი მხარეები აქვს. გერმანელ ერს ოცდაორი მბრძანებელი და სამი პრეზიდენტი უფრო ძვირად უჯდება, ვიდრე ერთი დაუჯდებოდა. არც ორმოცდაათამდე ქვედა და ზედა პალატაა აგრე რიგად ადვილად ასატანი. მით უმეტეს, რომ მათ ბუნებრივად თავისი მინისტრები და ხელისუფლებიც ახლავთ. მაგრამ ასეთ დეცენტრალიზაციას სხვათა შორის ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს: მისი შემწეობით შესაძლებელია მოსაზღვრე სახელმწიფოს შემოერთება უანექსიოთ. გერმანელი იმპერიალისტები ამ გზით ოცნებობენ იმ პატარა, ნახევრად გერმანულ სახელმწიფოების შემოერთებას, რომელნიც მათ სამშობლოს საზღვრავენ სამხრეთით და ჩრდილო-დასავლეთით: ბელგიისა, ჰოლანდიისა, ლუქსემბურგისა, შვეიცარიისა და სხვა. საჭირო არ არის მათი დღევანდელი კონსტიტუციის სრული განადგურება. საკმაოა ზოგიერთი უფლების ალკვეცა და ფედერატიული კავშირის ავტონომიურ წევრად მიღება ბავარიისა, საქსონიისა ან ვიურტემბერგის მსგავსად.

ძნელი საფიქრებელია, რომ ასეთმა დაპირებამ მწარე აბები დაუტკბილოს ბელგიას. მართალია გერმანელები სხვანაირათაც სცდილობენ ბელგიელთა ერთი ნაწილის გულის მონადირებას. ბელგიაში ორი ტომი სცხოვრობს: ფრანგულს კილოზე მოლაპარაკე ვალონები და გერმანულ კილოზე მოლაპარაკე ფლამანდიელები. ომის დაწყებამდე მათ შორის ფარული უნდობლობა და ქიშპი ჰღვივოდა ენის უფლებათა გათანასწორების საკითხში. სხვათა შორის ფლამანდიელები საკუთარი უნივერსიტეტის გახსნას ითხოვდნენ. ეს მოთხოვნა სამწუხაროდ დაუკმაყოფილებელი დარჩა გერმანელი ჯარის შესვლამდე ბელგიაში. შარშან, როგორც ვიცით, გერმანელმა მთავრობამ ფლამანდიური უნივერსიტეტი დააარსა გენტში. ამას მოჰყვა ფლამანდიური იდეის ფართო პროპაგანდა გერმანელი აგენტების მიერ. ამ პროპაგანდით ბელგიის ეროვნული შეგნების მორთვას და შესუსტებას ლამობენ. მაგრამ საეჭვოა, რომ მან სასურველი ნაყოფი გამოიღოს გერმანეთისათვის. ბელგიელი ხალხის შეგნებაში ჯერ კიდევ საკმაოთ ძლიერია ლუვენისა, მალინისა და ლიეჟის ხსოვნა, რომ გენტმა მისი კვალი ასე ადვილად წარხოცოს.

მაგრამ არა თუ ბელგიელების, თვით პოლონელების გულის მონადირებაც გაუჭირდება გერმანიას. მართალია, ვარშავასა და ლიუბლინში გამოცხადებული აქტი დიდს სიკეთეს უქადის პოლონეთს, მაგრამ თავისუფლება როდი დააკმაყოფილებს ამ ქვეყანას: ერთს საუკუნეზე მეტია რაც პოლონელი ერი თავისი სამად გაჩეხილი სხეულის გამრთელებას ლამობს და დამოუკიდებელ სახელმწიფოში კიდევ უფრო გაღვივდება ეს სურვილი. ეროვნული კულტურის აღორძინება შეუძლებელი იქნება გაერთიანების გარეშე. თითქმის რვა მილიონი თანამემამულე დარჩება გამოუსყიდავი, თუ გერმანიასა და ავსტრო-უნგრეთს პოლონელებით დასახლებული მიწაწყალი შერჩათ, მიტომ, რომ პოზნანსა, სილეზიასა და დასავლეთ პრუსიაში ოთხ მილიონამდე პოლონელი ბინადრობს, გალიციაში კი სამ მილიონ ნახევარზე მეტი, პოლონელები ვერასოდეს; ვერ დაივიწყებენ ქალაქ კრაკოვს, რომელიც დიდს ხანს მეცხრამეტე საუკუნეშიაც დამოუკიდებელ რესპუბლიკას წარმოადგენდა და დღეს სულიერი კულტურის ცენტრად ითვლება; ვერ დაივიწყებენ ქალაქ პოზნანს, სადაც დღეს ვაჭრობა და მრეწველობა ჰყვავის და შეიძლება ისიც გაიხსენონ, რომ გერმანელ ქალაქ დანციგს ერთს დროს გდანსკი ერქვა და პოლონეთის ბჭეს წარმოადგენდა ბალტიის ზღვაზე.

ყოველ შემთხვევაში უეჭველია, რომ გერმანიასა და ავსტრო-უნგრეთს პან პოლსუდსკის პრობლემატიური ლაშქარი აგრე რიგად იაფად არ დაუჯდება. აღმოსავლეთის საზღვრებზე შეიქმნება შუღლისა და უნდობლობის კერა, როგორიც დასავლეთის საზღვარზე ელზას ლორენი, ხოლო სამხრეთისაზე ტრენტინო და ტრიესტია: პოლონეთის სახელმწიფოს სახით ცენტრალური კავშირი მომავალში მოყვარეს კი არა, მტერს შეიძენს, იტალიისა და საფრანგეთის მსგავსს, თუ ამ თავითვე არ მოისპო კონფლიქტების ნიადაგი, რომელსაც გალიცია და პოზნანი ჰქვია.

მაგრამ ესეც არის, რომ ბოლო დროს გერმანია მეტის მეტად ფრთხილად და ცბიერად მოქმედობს. ადვილი შესაძლებელია აღდგენილ პოლონეთს შეუთანხმდეს მეგობრულად. თუ დღევანდელ გასაჭირში პოლონელმა ლაშქარმა ვილჰელმ II და ფრანც იოსებს მართლაც ხელშესახები დახმარება გაუწია, ადვილი შესაძლებელია, რომ ამ უკანასკნელებმა ბატონიშვილ იოახიმესა, ლეოპოლდ ბავარიელს თუ კარლოს სტეფანეს დაგვიანებით ცოტაოდენი მზვითევიც გაატანონ გალიციისა და პოზნანის ფონდიდან. ყოველ შემთხვევაში ასეთი ყოფაქცევა უფრო არგებდა გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთის ინტერესებს, ვიდრე ავნებდა.

ვ. ლელიანი.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

მთელ აღმოსავლეთ ბრძოლის ასპარეზზე, გუშინდელ ოფიციალ დეპეშის ცნობით, სროლაა გაჩაღებული. უფრო აქტიური მოქმედება და იერიშები სწარმოებს დორნა-ვატრის სამხრეთით სოფ. ტოლდიაშთან, სადაც რუსებს რამოდენიმე სიმაგრე უგდიათ ხელში და ტყვეები წამოუყვანიათ. თვით გერმანელებს განუახლებიათ იერიშები სოფ. დოლნიასთან, მაგრამ ვერას გამხდარან. კარგა ხანია მას შემდეგ, რაც რომ მთელი ბრძოლის ხაზით ორივე მოპირდაპირე არ ახმაურებულა. და თუ სწორედ ახლა, როდესაც რუმინეთის ასპარეზზე გენერალური ოპერაცია მთელი თავისი სიძლიერით სწარმოებს, ცხადია, გამოწვეულია სამხრეთ ასპარეზის ოპერაციით. ჩვენ ხვალ, ხვალ-ზევით უკვე გვეცოდინება რა შედეგი მოჰყვება ამ ამოქმედებას მთელ ასპარეზით. შეიძლება გერმანელებს განზრახვა ჰქონდეთ ფართო დემონსტრაციები აწარმოონ.

დღეს-დღეობით რუმინეთს თვალები რუსეთისაკენ უპყრია. მისი მდგომარეობა ისეთი საშიში შეიქნა, რომ თუ მართლაც სამხედრო შტაბმა განსაკუთრებული ყურადღება არ მიაქცია და შესაფერი ძალა არ მიაშველა, ადვილად შეიძლება ამ სახელმწიფომ თავისი დღენი კატასტროფით გაათავოს. მტერი არათუ ცოდნით და ტეხნიკით მაღლა სდგას რუმინეთის ჯარზე, რიცხვითაც გაცილებით სჭარბობს და რა გასაკვირველი იქნებოდა, რომ იძულებული გამხდარიყო თავისი მიწა-წყალი მტრის ხელში ჩაეგდო. დღეს დღეობით ეს ასე არ მოხდა. პატარა რუმინეთი ჯერაც ისევე გამალებული იბრძვის და ყოველ ნაბიჯს ძვირად უსვამს სასტიკ მოპირდაპირეს. კარგა ხანია, რაც უკვე ფალკენჰაინი და მაკენზენი იბრძვიან ამ სახელმწიფოს. დარწმუნებული ვართ, მარტო რუმინეთის ჯარი ვერ გააჩერებდა ამდენს ხანს მტერს, თუ რუსეთი თავის მხრივ ჯარებს არ მიაშველებდა. დღეს ბრძოლის ველზე რუმინელებთან ერთად რუსებიც იბრძვიან. რამდენი კორპუსის გადაყვანა მოახერხა რუსეთმა არავინ იცის, მაგრამ რომ საკმაო და თვალსაჩინო იქნებოდა დახმარება ამაში ყველანი დარწმუნებული ვართ. შეიძლება, გერმანეთმა შეეცადოს ეს გარემოება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. კარგათ იცის მათმა წინამძღოლმა გენ. ჰინდენბურგმა, თუ რა დიდათ არის დაინტერესებული რუსეთი რუმინეთის არსებობაში. იცის, რომ უკანასკნელი არაფერს დაზოგავს, ოღონდ კი მტერი შეაჩეროს და თავის მოკავშირე განსაცდელისაგან იხსნას. ფალკენჰაინს და მაკენზენს რომ მოქმედება გაუადვილოს, მოსალოდნელია ჰინდენბურგმა თვითონაც განაახლოს შეტევა აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე და ამგვარად აიძულოს რუსეთის შტაბის ყურადღება ისევ თავის ასპარეზზე გადმოიტანოს. იქნება ეს დემონსტრაციის სახით თუ ნამდვილად გენერალურ ბრძოლაში ჩაითრევს მოპირდაპირეს, ამის გამოცნობა ძალიან ძნელია. მართალია მხოლოდ ის, რომ რუმინეთის დასაპყრობად გერმანელებმა უპირველესად რუსეთის ყურადღება უნდა დაიპყრონ, უნდა მოუწყვიტონ რუმინეთს მთავარი საკვები წყარო—რუსეთი.

რუმინეთის ასპარეზზე დღითი-დღე მოქმედება მოპირდაპირეს მხრივ უფრო და უფრო ძლიერდება. გუშინდელ ოფიციალ დეპეშის ცნობით, კიმპოლუნგთან მოპირდაპირეს აუარებელი მძიმე ზარბაზნებით დაუწყვია შეტევა. ეს ცნობა ძალიან საგულისხმოა. სჩანს მტერმა იმდენად შესძლო ამ მიმართულებით ფეხის მოკიდება, რომ მრავალ მძიმე ზარბაზნებსაც კი ამოქმედებს. ეს დიდი წარმატებაა მოპირდაპირისთვის, რადგან მთებში ძნელია საზოგადოდ არტილერიით დახმარება და მით უმეტეს მძიმე ზარბაზნებისა.

გარდა ამისა მოპირდაპირეს ძალიან გახშირებია ჰაეროპლანებიდან ყუმბარების დაშენა მთელ რუმინეთის მიწა-წყალზე. მრავალ ალაგებში მოპირდაპირეს მფრინავები ისე დაბლა დაშვებულან, რომ ტყვიის მფრქვევლებით დაუწყვიათ ქუჩებში და მინდვრად მშვიდობიან ხალხის ჟლეტა. აშკარაა მტრის განზრახვა: მოპირდაპირეს სურს არეულობა გაამეფოს მთელ რუმინეთში, შიშის ზარი დასცეს მშვიდობიან ხალხს და ამით საქმე გაურთულოს რუმინეთის სამხედრო შტაბს.

X.

ომის დეპეშები

4 გიორგობისთვე.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. მთელს ბრძოლის ხაზზე სროლაა, უფრო ცხარე სროლაა ნაროჩის ტბის მიდამოებში და მდ. სტოხოდის ზოგიერთ ადგილებში. შელვოვის ჩრდილოეთით ჩვენი ზარბაზნები მარჯვედ უშენდნენ ქიმიურ ყუმბარებს მტრის ბანაკს. მდ. ნარაიუვკის მიდამოებში, ლიპიცა დოლნაიას მოპირდაპირემ შემოუტია, უნდოდა წინა დღით დაკარგული სანგრები დაებრუნებინა. ზედიზედ მოტანილი ორი იერიში სროლით მოვიგერიეთ.

კავკასიის ასპარეზი. ბიჯარის მიმართულებით ოსმალებს კოზაზისა და ჯანელაგის მიდამოები დავაცლევინეთ სულტან აბადის სამხრეთით.

რუმინეთის ასპარეზი. ტრანსილვანიაში, ტოლდიაშის ჩრდილო მიდამოებში მოპირდაპირემ შემოგვიტია, მაგრამ თოფების და ტყვიისმფრქვევლების სროლით მოვიგერიეთ. ცხარე ბრძოლის შემდეგ ტოლდიაშის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოპირდაპირის გამაგრებული ადგილი ავიღეთ. ხელთ ვიგდეთ 1 აფიცერი და 3 ტყვიისმფრქვეველი.

კიმპოლუნგის მიდამოებში ბრძოლა გრძელდება. მოპირდაპირეს მრავალრიცხოვან მძიმე ზარბაზნების დახმარებით, იერიშები მოაქვს, იგი დიდად ზარალობს. ყველა იერიში მოვიგერიეთ. რუმინელებმა თავის ადგილები შეინარჩუნეს. მდ. ალიუტას და ჟიუს ველში ცხარე ბრძოლაა. დობრუჯში ჩვენი ჯარი კვლავ წინ იწევს სამხრეთისაკენ. უკანდახევის დროს მტერი რუმინელების სოფლებს ჰბუგავს.

3 გიორგობისთვე.

რომი. იტალიელების ოფიც. ცნობა. კარსოზე რამდენიმე ადგილას ბრძოლის ხაზი გავასწორეთ; ხელთ ვიგდეთ სანგრის მძიმე მორტირები. 30 ღვინობისთვეს მოპირდაპირის ჰიდროპლანებმა ყუმბარები დაუშინეს რავენს, პორტო-ლეგოესკუას და პოლეზელლოს. ადამიანი არ უმსხვერპლიათ, არც დანგრეულა რამე. რომანო ვერმელიანისა და დობერგიზე საფრენების თავდასხმაც უშედეგოდ დარჩა.

ლონდონი. საადმირალო იტყობინება: ჩვენი საფრენების და ჰიდროპლანების რაზმები თავს დაესხნენ ოსტენდეს, ზეებრიუგეს სიმაგრეებს და წყალქვეშათა სადგურებს ყუმბარები დააყარეს. მოტორების და ფლოტის სახელოსნოებს მარჯვედ მოახვედრეს და ნავთის საწყობებში ცეცხლიც შეამჩნიეს.

4 გიორგობისთვე.

პარიზი. საღამოს ოფიც. ცნობა. სომას ხაზზე ცხარე ბრძოლა იყო მთელ დღეს. მდ. სომას ჩრდილოეთით და სამხრეთითაც იმავე დროს გერმანელები დიდის ძალებით მედგრად გვაწვებოდნენ. მოპირდაპირემ თვალსაჩინო მსხვერპლის განწირვით უმნიშვნელო რამ გამარჯვებას მიაღწია. სომას ჩრდილოეთით, ლემეს და ფუმავენს შუა ზარბაზნების დაშენის შემდეგ მოპირდაპირე იერიშით წამოვიდა. მან ერთხანს მოახერხა ლენპიერ - ვაასტის ტყის ნაწილის ხელში ჩაგდება, მაგრამ ჩვენის სროლით მდინარის სამხრეთით უკუვაგდეთ. აბლენკურის და შონის ტყის შუა გერმანელებმა იერიშები განაახლეს. ცხარე ბრძოლის შემდეგ ისევ თავის სანგრებში მივაბრუნეთ. მხოლოდ სოფ. პრესუარის აღმოსავლეთ ნაწილში მოახერხა მოპირდაპირემ ცოტა წინ წამოწევა.

მახლობელ აღმოსავლეთში, „1202“ მაღლობების არემარეში გერმანელ-ბულგარელების ჯარმა უკან დაიხია სოფ. ივენის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ფეხდაფეხ მიმყოლმა სერბიელთა ჯარმა სოფ. ჩეგელი აიღო.

რიგა. გუშინ დილით რიგის ჩრდილოეთ გარეუბანში გერმანელების ჰაეროპლანი გამოჩნდა, მაგრამ სროლით უკან გავაბრუნეთ.

პარიზი. სომას სამხრეთით სოფ. პრესუარიდან გერმანელები გავდევნეთ.

ბუქარესტი. რუმინელების ოფიც. ცნობა. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზი. მოლდავიის დასავლეთ საზღვარზე, სლონიკის ველამდე ცვლილება არ მომხდარა. სლონიკის ველსა და ოიტუზში მტერს მიჯნებს იქით ვდევნით. პოტნოს ველსა და პრედეალის შუა მდგომარეობა არ შეცვლილა. დრაგოსლაველის მიდამოებში მოპირდაპირემ, მძიმე ზარბაზნების დახმარებით, რამდენიმე იერიში მოიტანა, მოვიგერიეთ და ჩვენი ადგილები შევინარჩუნეთ. ალიუტის ველში მტერს მაშველი ჯარი მოუვიდა და ჩვენი ჯარი იძულებული გახდა გაცილებით მეტი მტრის წინაშე უკან დაეხია. სლატრუბრეზიოსთან ჩვენი ჯარი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. ჟიუს ველში მოპირდაპირეს იერიშები მოაქვს. დუნაის დასწვრივ თოფების სროლაა. დობრუჯში ავიღეთ სოფელი ბეიჩიკი, დუნაის ნაპირად.

ბუქარესტზე თავდასხმა.

ბუქარესტი. უკანასკნელ სამ დღეში მოპირდაპირის საფრენები დიდს მოქმედებას იჩენენ. ისინი თავს დაესხნენ ტურნუმაგურე, ზიმნიცას, ჯურჯევისა, კიმპოლუნგისა, სინაისა და რომანის მიდამოებს. ზარალი უმნიშვნელოა.

გუშინ მოპირდაპირეს მფრინავებმა ბუქარესტსა და მის გარეუბნებს ყუმბარები დაუშინეს. დაიხოცა და დაიჭრა ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები, განსაკუთრებით დედაკაცები და ბავშვები. დიდძალი ყუმბარები დააყარეს სასახლეს, რომელშიაც დედოფალის და მისი ასულის სადგომია. საბედნიეროდ მეფის ოჯახობა იმხანად სასახლეში არ იმყოფებოდა, ბატონიშვილის მირჩის გარდაცვალების შემდეგ. მტრის მფრინავები ქალაქის გარე უბანსა და სოფლებზე თავდასხმის დროს ძალიან დაბლა ეშვებიან და ტყვიისმფრქვეველებს უშენენ ქალაქის ქუჩებში, გარეუბნებში, მინდვრად თუ სოფლად მყოფ მშვიდობიან ხალხს.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუმინეთი.

ჩერნოვოდის ხიდთან.

დიდად საგულისხმო ამბები ხდება ჩერნოვოდის ხიდთან. შესაძლოა ამ ხიდმა გადასწყვიტოს კიდეც რუმინეთის ბედი და ან აქეთ გადასწიოს რუმინეთის ბრძოლის სასწორი ან იქით.

ჩერნოვოდის ხიდის თაობაზე „დენ“-ის სამხედრო მიმომხილველი **ს. დიმიტრიევი სწერს:** „მთავარსარდლის ცნობებით, ჩერნოვოდიდან დუნაის გაღმა მიმავალ გზაზე გერმანელ-ბულგარელებს რუსის ჯარი გადაეღობა. იმავე ცნობებიდან ვტყობილობთ, რომ ჩერნოვოდის ხიდი, თურმე, ხელუხლებელი ყოფილა. ეს ამბავი მოულოდნელი რამ როდი იყო, რადგანაც ჩერნოვოდი მტრის ფრთაზე მდებარეობს და იმ მიდამოებს ეკვრის, რომელსაც ჯერ მოპირდაპირე არ შეხებოდა.

ეს ხიდი, სწორედ რომ ითქვას, სამი ხიდისაგან შესდგება. პირველი ხიდი ბორჩას ტოტზეა გადებული სიგრძით 210 საჟენი, მეორე იმ ადგილზეა გადებული, რომელსაც წყალდიდობა წაჰლეკს ხოლმე. ეს მეორე ხიდი სიგრძით 260 საჟენია, მესამე ხიდი კი თვითონ მდინარე დუნაის უმთავრეს კალაპოტზეა გადადებული. მისი სიგრძე 375 საჟენს უდრის. მთელი სიგრძე ამ ხიდებისა, ე. ი. ჩერნოვოდის ხიდისა 2 ვერსს უდრის. ყველაზე უფრო ღრმა ადგილზე ხიდი 15 საჟენით მაღლაა დუნაის ზედაპირზე. ასეთი უზარმაზარი ხიდის დანგრევა ჩერნოვოდიდან უკან დახევისას იმას უდრიდა, რომ მოკავშირეებს რუმინეთის ასპარეზზე სამუდამოდ ხელები დაებანათ, რადგანაც მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ოუნაის გაღმა-გამოღმა მხარე ერთმანეთისთვის მოეწყვიტათ (ხიდის დანგრევით), თუ გადასწყვეტდენ, რომ რუმინეთი მთლად უნდა დაეტოვებინათ. ამ შემთხვევაში ხიდის დანგრევა მაკენზენს გაუძნელებდა ჩერნოვოდიდან დუნაის გაღმა გადასვლას.

მაკენზენი შეფერხდა ჩერნოვოდის ხიდის შესაკეთებლად და შეიძლება ამან დააგვიანა დუნაის გაღმა მარცხენა კიდეზე. მოპირდაპირის ვარაუდით დუნაის გადალახვა უნდა მომხდარიყო არა გირსოვო-კაცაპკიოს ხაზის გასწვრივ, არც ჩერნოვოდ-კონსტანცის ხაზის გასწვრივ, არამედ რუშჩუკ-შუმლა-ვარნას ხაზის დასავლეთით. მხოლოდ ამ ხაზზე მყოფი ჯარის უზრუნველყოფა შეეძლო მოპირდაპირეს თუ დუნაის გადალახავდა. მაგრამ რადგანაც ჩერნოვოდის ხიდით ვლახეთში შესევაზე მოპირდაპირე ხელს არ იღებდა, ამისათვის ბუნებრივია, რომ ფეტეშტისთან გადაჯვარედინებულ გზებზე მოპირდაპირემ ძლიერი იერიში მიიტანა.

რუმინელებმა ჩერნოვოდის დატოვებით თავისს მიზანს მიაღწიეს. ეხლა რომ ჩერნოვოდის ხიდის გაღმა რუსის ჯარი შეეგება მტერს, ამას დიდი გავლენა ექნება დობრუჯში მომქმედ და წინ მავალ (სამხრეთისაკენ) ჯარის მოქმედებაზე.

ქ. შუმსკის აზრი.

„დობრუჯში ჩვენმა ჯარმა აიღო გირსოვო, სოფ. მუსლაი, დელგრუს სამხრეთით 3 ვერსზე მდებარე, და კასიმჯის დასავლეთით 5 ვერსზე მდებარე მაღლობები. სჩანს დობრუჯში 20 ვერსის მანძილზე სამხრეთით წინ წავიწიეთ. წინად თუ ჩერნოვოდიდან 60 ვერსზე ვიყავით სოფ. დაიანასთან. ეხლა ჩერნოვოდიდან 40 ვერსზე ვდგევართ. ამ ვე დროს ჩვენი ჯარი დუნაის გაღმიდან ჩერნოვოდს 3 ვერსზე მიუახლოვდა. ჩერნოვოდთან მოქმედებს ჩვენი ცხენოსანი და ქვეითა ჯარი, რომელთაც დუნარეის სადგური აიღეს ჩერნოვოდის გაღმა სამ ვერსზე. აქ უნახავთ 200 მოკლული მტრის გვამი და 1 ტყვიისმფრქვეველიც წამოუღიათ

უეჭველია მოპირდაპირე ყოველის ღონით შეეცდება ჩერნოვოდი ხელიდან არ გაუშვას, რადგანაც დობრუჯში მოქმედებისათვის ჩერნოვოდი მისი უმთავრესი დასაყრდნობი ადგილია.

აქ ჩვენი ჯარის მიზანი უეჭველია ხიდის დანგრევაა, რომ აქ მტრის გადმოსვლა შეუძლებელი გახადონ.

ოგლინის აზრი.

ჩერნოვოდის ხიდთან ბრძოლის თაობაზე „რუს. ვედ.“-ის სამხედრო მიმომხილველი ა. ოგლინი სწერს: ჩერნოვოდის დასავლეთით ბალტას კუნძულზეა ბრძოლა გაჩაღებული. კუნძული ბალტა მოქცეულია მდ. დუნაისა და მისი ტოტის ბორჩას შუა. როგორც ეხლა გამოირკვა, მოპირდაპირე ამ კუნძულზე გადასულა, მაშასადამე ბორჩას ხიდის გაღმა და აქ დაუპყრია დუნარეას სადგური, ჩერნოვოდიდან 3 ვერსის მანძილზე. მერე ჩვენმა ჯარმა დაიჭირა ეს სადგური, რის შემდეგაც გაჩაღდა ბრძოლა ხიდის ხელში ჩასაგდებად. ამ ბრძოლის შედეგი ჯერ არ გამორკვეულა.

ამერიკა

ვილსონის არჩევა

როგორც ბოლოს გამოირკვა ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტად ისევ ვილსონი აურჩევიათ.

ვილსონმა ცინცინატიში საარჩევნო მიტინგზე დიდი სიტყვა წარმოსთქვა და თავისი სამოქმედო გეგმა გაუზიარა ხალხს. მან საგარეო პოლიტიკაზე სთქვა: მეომარ სახელმწიფოებს და საერთოდ ევროპის ხალხს ჩვენ შიშითა და უნდობლობით კი არ უნდა ვეპყრობოდეთ, არამედ თანაგრძნობით. უნდა გვახსოვდეს, რომ ომისაგან ილაჯ-გაწყვეტილი ევროპიელები ჩვენთვის საშიში ვერ იქნებიან, პირიქით ჩვენ დავსჭირდებით მათ. მეორე მხრივ სირცხვილი დამწვავდა, რომ მეგულებოდეს ისეთი ამერიკელი, რომელიც ევროპის ფიზიკურ დაუძლურებაზე სიამოვნებას ჰგრძნობდეს. უეჭველია ევროპის ერებს კარგი დრო დასჭირდებათ რათა ომიანობით დაქანცული ნერვები დაასვენონ, რათა დაკარგული ენერგია აღიდგინონ; მაგრამ არც ერთი გულითადი ადამიანი არ გაიხარებს ამით და არ იტყვის: სწორედ მარჯვე დრო აქვს ამერიკას, რომ დასუსტებულ ევროპას გამორჩეს რასმეო. დიაღ ეს მარჯვე დრო იქნება, მაგრამ უფრო მაღალი მიზნისათვის.

ჩვენ გვისაყვედურებენ, რომ ახალ-ახალ ოლქების შესამატებლად არ ვიბრძვით. ასეთ მოსაყვედურეთ ავიწყდებათ, რომ ამერიკას არასოდეს არ უწარმოებია ისეთი პოლიტიკა, რომელთათვის თავისი საქმე უცხოეთში ხმელეთის ჯარსა და ფლოტზე დაუმყარებია...

ადრე თუ გვიან, ამ ომის შემდეგ ახალი ომი ასტყდება; შეიძლება ეს იყოს უკანასკნელი ომი, რომელიც მთელს ქვეყნიერებას მოედება, მაგრამ ასეთი ომი რომ მოსალოდნელია, ეჭვს გარეშეა. დადგება დრო, როდესაც ნეიტრალობა დავიწყებას მიეცემა. ამას მოგახსენებთ არა იმისთვის რომ მე ასე მსურდეს, არამედ თვითონ მდგომარეობა გამოიწვევს ამას. მთელი დედამიწის ზურგზე მოსახლე ეროვნებანი საერთო შეთანხმებამდე უნდა მივიდნენ და სთქვან: „დღეის მერე არც ერთი ეროვნება არ უნდა დარჩეს ნეიტრალად, თუ კი მშვიდობიანობა იმ კანონების გამო ირღვევა, რომლებიც ყველა ეროვნებათა მიერ კანონად არ არის მიჩნეული. მშვიდობიანობა მხოლოდ მაშინ შეიძლება დაირღვეს, როდესაც კაცობრიობის ძირითადი უფლებანი ილახება და არა პირადი ჟინიანობის გამო...

ამერიკა მზად უნდა იყოს, რომ ასეთ შემთხვევისათვის სასწორზე დასდოს მთელი თავისი ზნეობრივი და ფიზიკური ძალ-ღონე ასეთ უფლებათა უზრუნველსაყოფად.

ვენისაკენ.

„ფიგარო“-ში განოტო და „რევიუ დე დო მონდ“-ში გენერალი მალტერი იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ უმთავრესი გულისყური იტალიის ასპარეზს უნდა მიექცეს, რადგანაც ყველაზე უფრო მოკლე გზა ვენისაკენ იტალიიდან მიდის.

ამის გარდა იტალიას შეუძლიან ბალკანეთი გაანთავისუფლოს და ოსმალეთი მოსწყვიტოს ცენტრალ სახელმწიფოებს.

მილანის გაზეთი სწერს: ყველა დამპყრობი ტროიანიდან ნაპოლეონამდე ვენისაკენ მიისწრაფოდნენ სწორედ იმ გზით რა გზითაც იტალიელები მიიმართებიან. გამარჯვებას მხოლოდ ავსტრიის შემუსვრით მივაღწევთ.

ჯარის რაოდენობა.

რუმინელების ცნობებით რუმინეთში მოპირდაპირეს ჰყოლია 32 დივიზია ავსტრიელ-გერმანელ-ბულგარელებისა. აქედან ტრანსილვანიაში ჰყოლიათ 22 დივიზია, დობრუჯში—10. უკანასკნელ დროს დობრუჯში ვერდენის მიდამოებიდან მაშველი ჯარი გადმოჰყავთ. (პ. დ. ს.).

სამხედრო თათბირი.

ფელდმარშალი ჰინდენბურგი კვლავ დიდს ყურადღებას აქცევს რუმინეთის ასპარეზს და ამ ცოტა ხანში საგანგებო სამხედრო თათბირი გაუმართავს ბელგრადში ტრანსილვანიაში მომქმედ ფელდმარშალ ფალკენჰაინთან და დობრუჯში მომქმედ ფელდმარშალ მაკენზენთან. ამ თათბირზე საგანგებოდ შეჰხებიან რუმინეთის ასპარეზზე სამოქმედო გეგმას.

გ. კლერჟეს აზრი.

„რუს. ინვ.“ სამხედრო მიმომხილველ გ. კლერჟეს აზრით თუ ფალკენჰაინს მაშველი ჯარი არ მოუვიდა თავის ჯარის ორივე ფთის წინ წამოწევა ვერ მოუხერხდა, მისი მდგომარეობა უკიდურესი იქნება. ამავე დროს ეს იქნება რუსეთ-რუმინეთის იარაღის გამარჯვება.

პოლონეთის სამეფო.

„ეკო დე პარი“ იტყობინება: რომის პაპმა უარი განაცხადა პოლონეთის სამეფოს აღიარებაზე და ამ საკითხის გადაწყვეტა ომის დასრულებამდე გადადო.

უკანასკნელი ცნობები

მოკავშირეები საბერძნეთის მეფე კონსტანტინეს შეურიგდნენ და აღუთქვეს შეანარჩუნონ ტახტი და საბერძნეთის ტერიტორია ხელუხლებლად დახტოვონ. მოკავშირეები დაეთანხმნენ, რომ საბერძნეთმა ნეიტრალობა დაიცვას. მეფე თავის მხრით შეჰპირებია მოკავშირეებს, ხელი არ შეუშალოს მაკედონიის ფრონტზე და გაანთავისუფლოს ვენიზელოსის მომხრენი.

—

ირლანდიაში ინგლისი ამნისტიას აცხადებს და სამხედრო წესები უნდა მოხსნას.

—

პოლონეთის ლეგიონები ფრონტიდან შუაგულ პოლონეთში გადაიყვანეს დასასვენებლად.

—

სინოდმა თავრიდის სემინარია (ყირიმშია, ქ. სიმფეროპოლში) დახურა, რადგან იქ ამ უკანასკნელ დროს არეულობა მომხდარა.

—

რუსეთის პრესა სათათბიროს მოქმედების გამო ორ ბანაკად გაიყო. „ნოვოე ვრ.“ და „გოლ. რუს.“ ურჩევს თ ვი დაანებონ პოლიტიკას და საქმიანობას შეუდგნენ. „რეჩი“ და „ბირჟ. ვედ.“ ამტკიცებენ, რომ სათათბიროში პოლიტიკა აუცილებელია. „დენი“ მოუწოდებს, სათათბირომ ხმა მაღლა, გაბედვით და ნათლად გამოსთქვას თავისი აზრი თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.

—

ამ ახლო მომავალში რუსეთი გადამწყვეტ გულისწყრომას განაცხადებს პოლონეთის სამეფოს შექმნის გამო. პროტესტი დამყარებული იქნება ჰააგის კონვენციის დადგენილებაზე. ამ დადგენილების ძალით აკრძალული აქვს მოწინააღმდეგეს დაპყრობილ ტერიტორიის ბედი ომის გათავებამდე ასე თუ ისე გადაწყვიტოს და იქიდან ჯარი მოჰკრიფოს, პროტესტს პირველათ რუსეთი განაცხადებს და შემდეგ, ალბათ, მოკავშირენიც მხარს დაუჭერენ.

—

საზღვაო მინისტრს უთქვამს: სევასტოპოლში ჯავშნოსანის „იმპერატრიცა მარიამის“ დაღუპვა დროებით შეასუსტებს ჩვენს ფლოტს რიცხვის მხრივ, ხოლო რაც შეეხება სტრატეგიულ განწყობილებას, აუცილებლად რუსებს მაინც უპირატესობა შერჩებათო.

—

საბერძნეთში მუშების გაფიცვა დაიწყო. ამბობენ გაფიცვა ფართო ხასიათს მიიღებსო.

—

ბულგარელები მაკედონიიდან აყარებულ ბერძნებს ასახლებენ.

ჯუმაიას ოლქში ბულგარელებს 9 სოფელი გადაუწვიათ და ტყვედ წაუყვანიათ 12,500 მცხოვრები.

—

სამხედრო პირების ცნობით მოწინააღმდეგე სცდილობს გალიციის ფრონტიდან რუსეთის ჯარს უკან დაახევინოს. ამ მიზნის განსახორციელებლად ნარაიუვკიდან ჩრდილოეთით მრავალ ჯარს მოუყარა თავი. აქ რუსეთსაც მისდის მაშველი ჯარი და მოსალოდნელია, რომ მოწინააღმდეგის გამარჯვება და წინ წამოწევა შეაჩეროს.

—

დორნა-ვატრიდან სამხრეთით მოწინააღმდეგე მრავალ ახალ ჯარს უყრის თავს და ყოველ დღე მეტ ძალას ჰმატებს ტრანსილვანიის მარცხენა ფლანგს. ამ ჟამად უსასტიკესი ბრძოლა რუმინეთის ფრონტზე მიტუზას მიდამოებში ჰხდება. მაკენზენი პოზიციებს ამაგრებს და, როგორც სჩანს, დუნაიზე გადავიდა.

—

გერმანელები ბალტიის პორტს რომ მფრინავებით თავს დაესხნენ ამას იმით ხსნიან, რომ გერმანელებს ფსიხოლოგიური გავლენა უნდა მოეხდინათო.

—

ქ. ბუქარესტს გერმანელმა მფრინავებმა აუარებელი ყუმბარები დააყარეს. სასახლეს ყუმბარები დაუშინეს. მფრინავები დაბლა ფრინავენ და მცხოვრებთ ტყვიის მფრქვეველებიდან ესვრიან.

—

სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის ადგილზე კანდიდატებად დაუსახელებიათ: როძიანკო (219 ხმა), ჩხეიძე (3 ხმა) და სხ. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა როძიანკო.

ახალი ამბავი

სასახლეში

◆ მეფის ნაცვალი სთხოვს ყველა დაწესებულებათა და კერძო [illegible] რომელნიც 6 [illegible] უმაღლესობის დაბადების დღეს, აპირებენ მილოცვას, არ შესწუხდენ, ვინაიდან სამსახურის საქმეების გამო მათი უმაღლესობა თბილისიდან უკვე გაემგზავრა.

ქართული დაწესებულებანი.

◆ **საადგილ-მამულო კომისია** მიწის მფლობელთა და მიწის მუშათა საყურადღებოდ აცხადებს, რომ იგი: 1) მიწის ყველა მყიდველ-გამყიდველ შორის შუამავლობას ეწევა და უსასყიდლოდ რჩევა-დარიგებას იძლევა; 2) შუამდგომლობს სადგილ-მამულო და სხვა ბანკების წინაშე და მსურველთ უდგენს ყოველგვარ საჭირო ქაღალდებს; 3) მიწის მყიდველთა ამხანაგობებს მიწის მზომელის საშუალებით სურვილისამებრ იაფ-ფასში უნაწილებს მიწებს; 4) ეხმარება სასოფლო საზოგადოებებს და ამხანაგობებს წყალსადენების და სარწყავ რუების გამოყვანაში, ჭაობების დაშრობაში, მდინარეების და ხევების ნაპირების გამაგრებაში და სხვა. მთხოვნელთ უდგენს შესაფერს ხარჯთ-აღრიცხვას და გეგმებს.

კომისიის კანცელარია ღიაა ყოველ დღე, გარდა უქმეებისა, 10 საათიდან 3 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი. ბელინსკის ქუჩა, № 2, სადეპუტატო საკრებულო, ტელეფონი № 9—18.

◆ **კრება.** კვირას, 6 გიორგობისთვეს, საღამოს 7 საათზე, ქართ. სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია კავკასიის სამეფისნაცვლოს ქართველთ კულტურულ-განმანათლებელთ საზოგადოებათა კავშირის გამგეობის სხდომა. განხილვის საგანი: წინასწარი მოლაპარაკება ბ-ნი ლ. გ. ბოცვაძის მოხსენების თეზისების გამო და იმ პრაქტიკულ ზომების გათვალისწინება, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ მომავალი საერთო კრების თათბირის დასკვნა რეფერატის შესახებ და სხვა მიმდინარე საკითხები.

◆ **საადგილმამულო კომისიის მოღვაწეობა.** უკანასკნელი ხნის განმავლობაში კომისიამ 1) გორის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას მისცა სესხად 5 წლის ვადით 5,000 მანეთი სამეურნეო იარაღების შესაძენად და სამაგალითო სანერგის მოსაწყობად; 2) ავლევის სასოფლო სამეურნეო სკოლას მისცა ერთდროულ დახმარე-

ბის სახით 2,000 მანეთი; 3) სოფ. წაბლოვანის (ზემო ქართლი) ამხანაგობას დაეხმარა საბოლოოდ გაეთავებინა საქმე ბ-ნ გეგიძესთან 86 დესეტინა მამულის შეძენის თაობაზე; 4) იკისრა გაჰყიდოს სოფლის მეურნეებზე კნ. ე. რ. ვეზირიშვილის 1,000 დესეტინა მამული, მდებარე სოფ. კონაბითურსა და მთადეკეულში (ქართლი).

◆ **ჩურუქსუს საავადმყოფოს გამგე** ექიმი ბ-ნი ბენაშვილი გუშინ თბილისში ჩამოვიდა და გამგეობას ვრცელი მოხსენება წარუდგინა საავადმყოფოს მდგომარეობის შესახებ. საავადმყოფოში ღვინობისთვის განმავლობაში სტაციონარული ავადმყოფი ყოფილა 7 სული, ხოლო საამბულატორიო 5000 სული. საავადმყოფოს გადატანის შესახებ ახალციხის მაზრაში ექიმი ბენაშვილი ხვალ მიემგზავრება ახალციხის მაზრაში საქვ. საზ. მდივან პ. საყვარელიძესთან ერთად. ბ-ნ ექიმის სიტყვით, აჭარლები ძალიან წინააღმდეგნი არიან საავადმყოფოს გადატანისა და თხოულობენ რომ საავადმყოფო იქვე იქმნეს დატოვებული.

◆ **დახმარება ახალციხის ლტოლვილთ.** ქ. საქვ. საზ. გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა კავკ. ფრონტზე ლტოლვილთა მომწყობ მთავარ რწმუნებულის გენ. თამამშევის წინაშე, საჭირო ფული გაიღოს ახალციხის მაზრაში და ფოცხოვის ოლქში გადმოხვეწილ ქართველ მაჰმადიანთა დასახმარებლად, რომელნიც, თანახმად ახალც. განყ. გამგეობის ცნობისა, დიდ მატერიალურ გასაჭირს განიცდიან. განსაკუთრებულ უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან ქვრივ-ობოლნი და ის დაბრუნებული ქართველი მაჰმადიანები, რომელთაც დაბრუნების შემდეგ მამულები სხვის მიერ დაჭერილი დახვდათ.

◆ **პურის ფქვილის შესახებ** ქარ. საქველმ. საზ. გამგეობამ აცნობა სამტრედიის განყოფილებას, რომ გარკვეულ პასუხს ამ ჟამად ვერ მოგცემთ, ვინაიდან ამ დღეებში დაისმება საზოგადოების წინაშე სასურსათო საკითხი სადაც დაწვრილებით გამოირკვევა, შეუძლია თუ არა საზოგადოების გამგეობას ხალხისათვის სურსათის მიწოდება.

◆ **საქვ. საზ. სალამო.** ქ. საქვ. საზ. გამგეობამ დაადგინა ამ მოკლე ხანში თვისთა საშუალებათა გასაძლიერებლად გამართოს სალამო, რომლის მო-[illegible] 5 ნ. ნ. გაბაშვილისას.

◆ **ქ. საქვ. საზ. თბ. სახელოსნოში** 15—16 მოწაფე-ქალთათვის საუზმის მოსაწყობად ქ. საქვ. საზ. გამგეობამ გადასდო 150 მანეთი თვეში.

◆ **ქართული გაზეთები მეომართათვის.** თანახმად ქართვ მსროლელთა პოლკის უფროსის შუამდგომლობისა ქ. საქვ საზ. გამგეობამ დაადგინა ჯერ-ჯერობით ეგზავნოს ამ პოლკს ორ-ორი ეგზემპლიარი თბ. ქართულ გაზეთებისა.

მთავრობის დაწესებულებანი

◆ **სამხედრო სესხზე მოაწერეს** ხელი 3 გიორგობისთვეს, სახელმწიფო ბანკის თბ. კანტორაში 112,300 მან., სავაჭრო ბანკში 200,000 მან., ვოლგა კამის ბანკში 55,000 მანეთ ობლიგაციაზე.

ქალაქის დაწესებულებანი.

ხმ. კეილმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, რომ ენერგიული ღონისძიება იხმაროს ქალაქში ნავთის მოსატანად, რადგან უნავთობის გამო ხალხი მეტის-მეტად გაჭირვებულია. სხვათა შორის, ბ. კეილი ურჩევს გამგეობას, რომ რადგან მცხეთის აუზებში დიდძალი ნავთია, ვაგონები გაგზავნოს იქიდან ნავთის ჩამოსატანად. აგრეთვე ბ-ნმა კეილმა წინადადება მისცა გამგეობას სთხოვოს გუბერნატორს, განკარგულება მოახდინოს, რომ ვაკე-საბურთალოზე აიკრძალოს ნაზხირის ვაჭრობა და ნაზხირით დატვირთული ურმები და სახედრები თბილისში გამოისტუმრონ, საცა ნაზხირი უნდა გაიყიდოს ქალაქის აგენტების მეთვალყურეობით.

სხვა და სხვა ამბები.

◆ **თავის მოკვლის განზრახვა.** 1) ჩერქეზიშვილის ქუჩაზე მცხოვრებ ვ. რ. ბრიკმა საწამლავი დალია. 2) შერემეტიევის ქუჩაზე რკინის გზაში მოსამსახურე ქალმა მ. კ. ნაუმოვისამ საწამლავი დალია. ორთავე ქალი გონდაკარგული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ **ყალბი მარკები.** შახგალდიანცის მაღაზიაში, ვორონცოვის ძეგლთან, პოლიციამ 25 მ. 75 კ. ყალბი ღირბის მარკები აღმოაჩინა. შახგალდიანცი შეიპყრეს და საქმე გამომძიებელს გადაეცა.

◆ **ქურდობა.** ელისაბედის ქუჩაზე რ. ნ. გალუსტიანის ბინა გაქურდეს და 2372 მ. ღირებული ნივთეულობა წაიღეს გაქურდეს იმისივე მდგმური ლ. მ. იაზიკოვისა და 650 მან. ნივთეულობა წაიღეს. ეჭვი მსახურ ქალ ე. ბობროვაზე მიიტანეს. 2) ელისაბედის ქუჩაზე გ. ბ. მალაევის სახლიდან ქურდებმა 780 მ. ნივთეულობა წაიღეს.

◆ პირველ გიორგობისთვეს, სალამოს 5 საათ. განსვენებულ მიხეილ ქილაშვილის ბინაზე მისულა ერთი უცნობი და უთქვამს: მგალობლების მეთაური ვარ და მგალობლები ხომ არ დაგჭირდებათო. ჭირის უფლები მორიგებიან 25 მანეთად. 5 მან. ბე დაუტყუვნია და არც თითონ მისულა და არც მგალობლები მიუყვანია.

◆ **ქურდობა.** 1) პეტროვის ქუჩაზე ა. ი. ალექსანდროვის ბინა გაქურდეს და 181 მან. ღირებული ნივთეულობა წაიღეს; 2) მოსკოვის ქუჩაზე ლ. ი. ვერტის ბინა გაქურდეს და 487 მან. ღირებული ნივთეულობა და 230 მან. ნაღდ ფულად წაიღეს; 3) კლასიკურ ქუჩაზე საველე ფოსტის მოხელის კ. ნ. კლიუშინის ბინა გაქურდეს და 800 მან. ღირებული ნივთეულობა წაიღეს; 4) პანასევიჩის ქუჩაზე ა. მ. მატარაძის და. ს. მაღლაბერიძის ბინა გაქურდეს და 414 მან. ღირებული ნივთეულობა წაიღეს; 5) ელისაბედის ქუჩაზე შეიპყრეს ე. ა. მემანაშვილი, პოლოსოვის სასადილოს მსახური, რომელსაც 95 მან. ღირებული ნაქურდი აღმოაჩნდა.

გორი.

— **ცეცხლის გაჩენა.** ს. ყელიანში გონა ძუკაევის საბძელს ცეცხლი მოედო და რაც რამ ებადა, გადაიწვა. ზარალი 2153 მან. უდრის.

ბორჩალო.

— **მკვლელობა.** ს. წერაქვის მცხოვრებმა გ. ზაქალაშვილმა თავის სახლში მოჰკლა არსენ ცხადაიშვილი და დასჭრა თავის ცოლი, როცა მათ თავის საწოლში ერთად მოასწრო.

სიღნაღი.

— **ქურდის მოკვლა.** ჟანდარმის უნტერ აფიცერი ი. კრივოვი და საეროზო რაზმის დარაჯი. ნასყიდაშვილი ს. თულარში მიდიოდნენ საქმეების გამო. სოფლის ახლო მათ შენიშნეს უცნობი, ნაბადში გახვეული ლობისკენ მიბრუნებული. ისინი რომ შეჭკითხებიან, უცნობს თოფი უსროლია დარაჯისათვის. იმათაც სროლითვე გასცეს პასუხი და იქვე მოჰკლეს უცნობი. ეხლა გამოირკვა მოკლულის პიროვნება. იგი აღმოჩნდა ცნობილი საქონლის ქურდი მ. ჯალილ-ოღლი.

თიანეთი.

— **უკვალოდ დაკარგულის გვამი.** ორი კვირის წინად ს. ახმამედლოში მცხოვრები 12 წლის ბიჭი მურსაკული ოღლი დაიკარგა უკვალოდ. ეხლა ამ ყმაწვილის გვამი იპოვეს ამ სოფელთან 1 ვერსის მანძილზე. მკვლელობას აბრალებენ კ. მაშადი მამედ ოღლს.

დუშეთი.

— **მკვლელობა.** ს. ფუძნარში მოჰკლეს თავის წისქვილში გ. ქისტაური.

დ. ახალ-სენაკი.

— ამ დღეებში ს. თეკლათში მასრის უფროსის თანაშემწის მეთაურობით მოკლეს ცნობილი ყაჩაღი ლადი გუგუნავა. მასთან ერთად დასჭრეს და შეიპყრეს მეორე ცნობილი ყაჩაღი გარუჩავა.

— შაბათს 29 ოქ., ადგილობრივი თეატრის დარბაზში, ცნობილმა ლექტორმა ალექსანდრე გარსევანიშვილმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „სრულიად საქართველოს გაერთიანების იდეის მღაღადებელი სოლომონ ლეონიძე, ერეკლე მეფის მსაჯული“. შინაარსიანად მდაბიურათ წაკითხული ლექცია დიდის გულისყურით მოისმინა საზოგადოებამ.

— შაბათს 5 ნოემბერს, იგივე ლექტორი ბ-ნი ალ. გრისევანიშვილი წაიკითხავს ლექციას ფინლიანდიის შესახებ (მუსიკით).

— კვირის 30 ოქ. ჩამოვიდა ცნობილი მახეტიალე მემუსიკე ილიკო ქურხული, რომელსაც განზრახვა აქვს გამართოს 13 ნოემბერს ლექცია სალამო მუსიკით.

— აგერ ერთი თვე იქნება, რაც ადგილობრივ კოოპერატივს შაქარი გამოელია და მას შემდეგ აქ შაქრის შიმშილობა ჩამოვარდა. კარგა ხანია, ხსენებულმა კოოპერატივმა ერთი ვაგონი შაქარი გამოიწერა და საჭირო თანხაც გადაიხადა (9 ათასი მანეთი), მაგრამ მისი ჯერ-ჯერობით არაფერი ისმის და ვინ იცის, ეღირსება სენაკს შაქარი თუ არა?!.

ახალციხე.

ქუნთრუშა. ს. აწყურში მძვინვარებს ქუნთრუშა. ამ სენით მომეტებულ ნაწილად ყმაწვილები ხდებიან ავათ.

თელავი.

— 1 გიორგობისთვეს შენ.-გამ. ამხ. დარბაზში კნ. ქ. რუსიშვილის ხელმძღვანელობით, გაიმართა თელავის წმ. ნინოს სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ, სალამო-მეჯლისი ქართული წარმოდგენით. ადგილობრივ სცენის-მოყვარეთ წარმოადგინეს ვ. გუნიას 3 მოქ. კომ. „ვაის გავეყარე ვუის შევეყარე“. წარმოდგენას ცეკვა მოჰყვა.

— 1 გიორგობისთვეს თელავის საკრებულო დარბაზში, სომეხ. საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოთ გაიმართა „საცეკვაო სალამო“.

— დიდი ხნის წვიმების შემდეგ, როგორც იყო გამოიდარა და ცოტაოდნათ თბილი დღეები დაიჭირა.

— 27 ღვინობისთვეს ახლათ შებინდებულზე, სამი უცნობი შეიარაღებული პირი შეუცვივდა სახლში სარქისა ივანოვის (ყაზახელის) დედას, დაადგნენ ხანჯალ-ამოღებულები და მოსთხოვეს ფული. გულგახეთქილმა დედამ ბევრი უფიცა ყაჩაღებს, სახლში ფული არაგვაქვსო, მაგრამ იმათ არ დაუჯერეს და დაუწყეს ცემა თოფის კონდახებით. ბოლოს რო დარწმუნდნენ ამით ვერაფერს გავაწყობთო, მოკრიფეს თუ რამე ძვირფასი ოქრო-ვერცხლის ნივთეულობა იყო, 80 ჩურჩხელა იპოვეს და გაიტაცეს.

— 21 ღვინობისთვეს აქ ჩამოვიდნენ თბილისის სომეხნი. საოპერო დასის მსახიობთა და ერთი კვირის განმავლობაში სამი წარმოდგენა-ოპერეტა დადგეს: ორჯერ „არშინ-მალალან“ და ერთხელ „მაშატი-ბათ“. მიუხედავათ სომხურის უცოდინრობისა, აუარებელი ხალხი ესწრებოდა ამ წარმოდგენას.

ქ. ბაქო.

მოკლე დროში ბაქოს სცენაზე პირველად წარმოდგენილ იქნება ალ. ალ. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“. დასდგამს შალვა დადიანი.

— კვირას, 30 ქრისტეშობისთვეს შ. დადიანის რეჟისორობით და ახლად მოწვეულ მსახიობ ქალის ცაცა ამირაჯიბის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა „შოთა რუსთაველი“, ისტორიული პიესა კ. მესხისა—თამარ მეფის ცხოვრებიდან. ხალხი დიდძალი დაესწრო და ბევრიც უადგილობისა გამო უკანვე დაბრუნდა.

— ბაქოში პურის და სხვა სანოვაგეთა კრიზისით გამოწვეული გრძელ-გრძელი „კუდები“ ჩვეულებად გადაიქცა.

— აქ, რამდენიმე დღეა, მშვენიერი ამინდებია. თითქმის ხანდისხან კიდევაც თბილა.

სახელმწიფო სათათბირო

3 გიორგობისთვე

კრება გაიხსნა 11 ს. 47 წ. თავმჯდომარეობს ვარუნ-სეკრეტი. თავმჯდომარე ბოდიშს ითხოვს სახ. სათათბიროს წინაშე, რომ მან 1 გიორგობისთვის სხდომაზე ბ-ნ მილიუკოვს არ დაუშალა გერმანულ გაზეთებიდან ამოღებული ციტატები გერმანულ ენაზედვე წარმოეთქვა, როგორც ამას წესი მოითხოვდა. ამასთან ერთად ვარუნ-სეკრეტი უარს ამბობს თავმჯდომარის ამხანაგის თანამდებობაზე. ამის შემდეგ თავმჯდომარის ადგილს იჭერს ბ-ნი როძიანკო. განაგრძობენ საბიუჯეტო კომისიის მოხსენების განხილვას.

შულგინი მკაცრად ეხება მთავრობის მოქმედებას საშინაო და საგარეო პოლიტიკაში.

ეფრემოვი. პროგრესისტების სახელით აცხადებს, რომ ფრაქცია თანაუგრძნობს პოლონელი ხალხის კანონიერ მისწრაფებას თავისუფლებისა და გაერთიანებისკენ, მაგრამ ჰგონებს, რომ პოლონეთი მხოლოდ მაშინ ეღირსება ზრახვათა განხორციელებას, როდესაც გამარჯვება რუსეთსა და მის მოკავშირეთ დარჩება. ორატორი ეხება სურსათის საქმის მოუწესრიგებლობას და ამბობს: ეს გარემოება ძირს უთხრის რუსეთსო.

კარაულოვი ამბობს, სახ. სათათბირო უბრალო თათბირის დაწესებულებად გადააქცია იმ გარემოებამ, რომ მთავრობა ასე ხშირად მიმართავს ხოლმე 87 მუხლსო. ორატორის აზრით ეს იმიტომ ხდება, რომ სათათბირო გამბედაობას ვერ იჩენს, და რომ სათათბიროს წევრები თავიანთ თავს ბატონებად ვერა გრძნობენ, მაშინ როდესაც ქვეყანა სათათბიროს შეჰყურებს, მის სიტყვასა და გუნებას უწევს ანგარიშსო. კარაულოვი მოითხოვს, რომ მთავრობა პასუხისმგებელი იყოს ხალხის წარმომადგენელთა წინაშე და ეს ეცნობოს ხელმწიფე იმპერატორს. უკეთუ სათათბირო ამგვარ მიმართვას მისაღებად არ სცნობს, მთავრობის წევრებს უნდა ბოიკოტი გამოუცხადოთ და არამც და არამც სათათბიროს სხდომებზე არ მოვიწვიოთო. თავმჯდომარე შენიშნავს, რომ მინისტრების მოუწვევლობა არ იქნებაო. კარაულოვი მოითხოვს 1917 წ. ბიუჯეტის უკუგდებას.

ჯაფაროვი სურვილს გამოსთქვამს მაჰმადიანთა ჯგუფის სახელით, რომ რუსეთის იმპერიაში მოსახლე ყოველ ეროვნებას მიენიჭოს თავისუფლება, რომლის გულისათვის დღეს რუსის ჯარი იბრძვის.

გოლდმანი ეხება გერმანეთის გულისთქმას კურლიანდიაზე და ამბობს, კურლიანდია გერმანული არას დროს არ ყოფილა; გერმანელთა რიცხვი მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენს და თუ ისინი ბატონობდენ, ეს რუსის მთავრობის სურვილით ხდებოდაო. კურლიანდია ბალტიის ზღვის გასაღებია და რუსეთისთვის უაღრესად საჭირო არისო.

მარკოვი მეორე. ორატორი ეკამათება პროგრესიულ ბლოკის წევრებს და არღვევს ამ წევრების მიერ მთავრობის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებათ. ორატორი ეხება ერთ ასეთ ბრალდებას, სახელდობრ, სურსათის საქმის მოუწესრიგებლობას და ამბობს: უსაფუძვლოა ასეთი ბრალდება, რადგან სურსათის საქმეს ჯერ იყო კრივოშეინი მიუძღოდა სახელმწიფო სათათბიროს წევრებთან ერთად შემუშავებულ წესის ფარგლებში, ხოლო ეხლა მთავრობა თითქმის სულ ერთიანად ჩამოშორდა ამ საქმესო, მას ქალაქთა და ერობათა კავშირების რწმუნებულები განაგებენ. მემარჯვენენი ერთად ერთ გამოსავალს ხედავენ ამ მდგომარეობიდან, ეს არის საეკონომიო დიქტატურის შემოღება. მარკოვი აღნიშნავს, რომ მემარცხენე გაზეთები მთავრობას ბრალს სდებენ, თითქოს ის სდევნიდეს საზოგადო დაწესებულებებს, რომელნიც [illegible]დენ მაღალი პატრიოტული [illegible]ბი ამოქმედებენ. საილუსტრაციოდ ორატორს მოჰყავს შედარება თუ რამდენად ჯდება ზოგიერთი საომარი მასალის დამზადება ერთის მხრით მთავრობის ბიუროკრატიულ ქარხანა-ზავოდებში და მეორეს მხრით კერძო პატრიოტიულ ქარხნებში. თურმე ამ ქარხნებში ერთი ორად მეტად ჯდება, ვიდრე პირველებში. ყველა მასალის დამზადება რომ მთავრობას ეკისრნა თავის ქარხნებში, დღეს რუსეთს ერთი მილიარდი მანეთი დარჩებოდაო. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ პროგრესისტები მოითხოვდნენ სინოდის ორიოდე გროშის კონტროლი სახელმწიფოს კონტროლს დაქვემდებარებოდა, მაშინ, როდესაც ეხლა იგივე პროგრესისტები ეწინააღმდეგებიან, რომ მთავრობამ კონტროლი გაუკეთოს იმ მილიონებს, რომელსაც ერობათა და ქალაქთა კავშირები ხარჯვენო.

მაკლაკოვი. ორატორი აღნიშნავს, რომ რუსეთი ახალი საფრთხის წინაშე სდგას. ეს საფრთხე სურსათის კრიზისში კი არ მდგომარეობს, არამედ იმ გარემოებაში, რომ ჩვენ შორის არიან ისეთნი, რომელნიც ბედავენ და ამტკიცებენ თითქოს რუსეთს შესცვლოდეს ეროვნული სულიერი განწყობილება. რუსეთმაო,—ამბობს ორატორი, ბევრი მსხვერპლი გაიღო სამშობლოსა და გამარჯვებისათვის და თავის დღეში არ იკადრებს, რომ სამარცხვინო ზავზე ხელი მოაწეროსო.

სალამოს სხდომაზე მოხდა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის არჩევნები. არჩეულ იქმნა როძიანკო 233 ხმით წინააღმდეგ 58.

თევდორე ჟორდანიას გასვენება

სამძიმრის დეპეშები

ქუთაისი: ვსტირი ძვირფას მასწავლებელს და მუშაკს თ. ჟორდანიას.

ია ეკალაძე.

—

ქუთაისი: ქართველ ისრაელთა ახალგაზდობა თვისს გულწრფელ სამძიმარს გზავნის არქეოლოგოს-ისტორიკოს თევდორე ჟორდანიას გარდაცვალების გამო.

—

სურამი. ვსტირით დაუმაშვრალ მუშაკის და საზოგადო მოღვაწის თევდორე ჟორდანიას სიკვდილს. განსვენებულის შრომებში აშკარათა სჩანს გულწრფელი სიყვარული თავისი სამშობლოსი. ქართული ერი უკუნითი უკუნისამდე მადლობით მოიხსენიებს მისს სახელს.

დრამატ. საზოგ. გამგეობა.

—

თბილისიდან. ვგლოვობ, რომ ჩვენს ქვეყანას დაეკარგა თვისი ძვირფასი შვილი, თვის ერის მეცნიერების ნათლით რომ ჰმოსავდა წელთა განმავლობაში.

ვედრებისელი.

—

თ. ჟორდანიას დამკრძალველმა კომიტეტმა 300 მანეთი მიიღო სათავადაზნაურო სადეპუტატო საკრებულოსაგან მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯებისათვის.

ჩვენი ძველი წესები და მათი მნიშვნელობა

(დასასრული)

ალაპს და საკურთხების გარდა ჩვენს ეკლესიას შერჩენია უძველესი საეკლესიო ჩვეულებანი: საოჯახო სალოცავები (სამიქელ-გაბრიელო ანუ სამთავარანგელოზო) და სათემო ლოცვა ანუ ხატობა და შენდობის კვირიაკე. ამ დღეობებისთვის ჩვენს გლეხებს ჰყავთ ცალკე საკლავი—ერთის მიჩენილ ძროხისაგან ხბო უნაკლო, უზიანო (როგორც ძველ ებრაელებს) და პატარა ქვევრში ღვინო—„ზედაშე“. წირვის შემდეგ, სადაც გლეხს მიჰქონდა ზედაშე, სეფისკვერი და ერთი აბაზი ფული, მღვდელს და ახლო მოყვრებს მიიპატიჟებდენ, საზედაშე ქვევრთან ილოცავდენ, თითოეული სტუმარი სანთელ-საკმეველს თავს შემოავლებდენ. ოჯახის წევრებს და მერე სადილად დასხდებოდნენ არც ჩხუბი ან უშვერი სიტყვა და არც სიმღერა სადილის დროს არ იქნებოდა, გარდა ძალის პირების საგალობლებისა. მღვდელს შინ გაეგზავნებოდა თავისი „ჯერი“, ე. ი. დაახლოვებით ისევე ნაწილი საკლავისა, რომელიც ძველმა აღთქმამ განუწესა საზრდოდ ლევიტელთ (ებრაელების მღვდლებს).

სათემო ანუ სალმთო. ამ ძველ ჩვეულებასაც განუწყვეტლივ ებრძვიან უკულმართები, ჩვენის თავისებურობის მტრები. სავსებით მაინც ვერ გადაუგდიათ. დღესაც ხალხი ყოველ წელს ან სამ წელიწადში ერთჯერ მაინც საზოგადო ხარჯით ყიდულობს ხარს და წირვის შემდეგ პარაკლისს იხდის ღვთის სახელზე მთელის სოფლის მამაკაცობის თანადასწრებით, რომელსაც შეუდგება (?) სათემო სადილი უჩხუბრად და წმიდად დროს გატარებით.

ხატობა. წელიწადში ერთჯერ სოფელი დღესასწაულობს დიდის ამბით თავისის ხატის დღესასწაულს, სადაც იკრიბებიან გლეხის სახლში დროს გასატარებლად გარეშე სოფლიდან მოსული მოყვარენი, ზოგნი ძღვნით მოსულნი. განთქმულ ხატებს მეტი სტუმრები ეწვევა, მაგ. სოფელ მარტვილში მთელ სამეგრელოდამ თავს იყრიდა საუკეთესო ახალგაზდობა, რომ სახელი მოეპოვა ბურთაობაში, ჯირითობა-ცეკვაობაში, ლექსების შეთხზვა-გამოთქმაში. მეფეების დროს ხატობა უფრო საერო დღესასწაულს წააგავდა, ვინემ საეკლესიოს, სადაც იმართებოდა ბურთაობა (ბურთს ოლარიანი მღვდელი გამოიტანდა ტაძრიდან და შუა მოედანში „გააგდებდა“), თარჩია, ყაბახი, ჯირითობა (ისრითა), სხვა და სხვა გვარი ფერხული სიმღერებითა, ცეკვაობა. დიდ დღეობაში ბევრი ახალგაზდა სახელს მოიხვეჭდა, ბევრი ქალი აქ საქმროს შოულობდა და ბევრი ახალგაზრდა ბიჭი—საცოლოს. ხშირად დიდი გვარები აქ მოდიოდნენ თავთავის ლაშქრით და აქ თავს იცდიდენ ლაშქრობის ხელობაში, ყოჩაღობაში, მოპირდაპირესთან შებმაში, სადაც მჭრელ იარაღის ხმარება არ მოხდებოდა, არც ჩხუბი ან სხვა გვარის შეურაცხების მიყენება.

ხატობა დიდი ეროვნული ინსტიტუტი იყო საქართველოში, სხვა და სხვა კუთხეში სხვა და სხვა ნაირადა დღესასწაულობდენ. მეცხრამეტე საუკუნის გადაგვარების დალი ამ წმიდა დღესასწაულსაც შეეხო. საუკუნეთაგან შემოღებული წესები შეარყიეს ახალ ჯურის ახალგაზდებმა და დღესასწაული ჩხუბად და შფოთად გადააქციეს. გადაგვარებული „სერთუქიანები“ გაურბოდნენ ეროვნულ დროს გატარებას და დღეს საქმე იქამდი არის მისული, რომ ეროვნული დღეობა ზოგან დუქნურს დროს გატარებას უფრო ჰგავს თავისის სყიდვა-გაყიდვით, არღანით, წიწიბურებით, ვიდრე ჩვენებურს რაინდულს გართობას, „კაცურ-კაცურს დროს გატარებას“.

შენდობის კვირიაკეს მთელი მრევლი თავისის....*) ეკლესიას იკრიფებოდა და წირვის შემდეგ ეკლესიის ეზოში ან (თუ ავდარი იდგა) შიგ ეკლესიაში ოჯახ-ოჯახად თავთავისს სუფრას იშლიდა. მაგრამ საჭმელს ხელს არავინ მოჰკიდებდა, სანამდი მრევლში ეგულებოდათ შეურიგებელნი. ვინმე რო გამოაცხადებდა, ეს და ეს ორი თუ სამი კაცი შეურიგებელნი არიანო, მთელი სუფრასთან მიმსხდარი საზოგადოება მოითხოვდა იმ კაცების მოყვანას და შერიგებას. ახლა სხვა შესარიგებელს წამოიყვანებდენ, მერე კიდე შემდეგს. როდესაც გამოცხადდებოდა, რომ შესარიგებელი არავინ დარჩაო, მაშინ დაიწყებოდა პურადობა, ერთმანეთის მრკითხვა, ოჯახი ოჯახს სთავაზობდა თავის სუფრიდან. სიყვარულით და სანოვაგით გამაძღარნი, შერიგებულნი დაიშლებოდნენ სალამო ხანს სიხარულით სავსენი. არც ერთს ქვეყანაში შენდობის კვირიაკეს ესეთი პატიოსანი ქრისტიანული სახე არ მიუღია, როგორი სახეც მისცა მას ქართველ ხალხის გენიოსობამ და ჩვენის ეკლესიის სიწმინდემ. მაგრამ დღეს ეს დიდებული ჩვეულებაც შემცირებულა და მთის განაპირეებში თუ-ღა სრულდება ნამდვილის მისის ეროვნულის სახით.

ქორწილი და სიკვდილი ქართულ ჩვეულებას ისეთის მაღალ ხელოვნებით შეუმკვია, რომ ამათი მომსგავსოც არ აქვთ სხვა ეროვნებათ. ეს უბრალო ჩვეულება კი არა, დიდის გენიოსისაგან ზეპირ შესასწავლად გამოგონილი მრავალ შინაარსიანი თხზულებაა, რომლის ღირსეულად აღწერა შეუძლია მხოლოდ ნიჭიერს და მცოდნე მწერალს. მთიულების ცხოვრება დიდის ნიჭით აღწერა უკვდავმა მგოსანმა ყაზბეგმა, ხოლო სხვა ქართველ ტომებს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ ჰყოლია ღირსეული პოეტი, თუმცა კულტურულად ესენი შორს მაღლა იდგნენ.

ზოგი ჩვენი მწერლები ამ ჩვეულებათა უარყოფენ, რადგან დალარიბებულ გლეხებისთვის გადამეტებულს ხარჯს მოითხოვსო. ეს არ არის მართალი. ტირილისა და ქორწილის მოწყობაში, ჩვენის ჩვეულებით, მოყვრები და ყველა დამსწრენი იღებენ მონაწილეობას—ქორწილში შესაწევარი და ტირილში „გადასაფარი“ (ფულით, ნივთით თუ ხორაგით) ჭირისუფალს მიართმევენ; ამას გარდა მეზობლები მუქთად ემსახურებიან. თითქმის ყოველთვის შესაწევარი ან გადასაფარებელი ჰფარავდა ხარჯს და ხშირად მეტიც დარჩებოდა. ხოლო თუ ჩვენს დროებში არ ჰყოფნის, ამის მიზეზებია: ეროვნობის გრძნობის დაშრეტა, მეტად მდიდრულად მოწყობა ქორწილ-ტირილისა ევროპიულ სუფრებით და „პორციებით“. იმერეთში არსებულ ჩვეულებით „ტირილში“ სამარხვო საჭმელი იცოდნენ და თითო-კაცზე მხოლოდ თითო ჯამი იყო მიღებული. მართალია, ახლა ზოგი ოჯახი ტირილს ხორციელით იხდის და ევროპიულად აწყობს სუფრას, რაიცა მართლა დიდს ხარჯს მოითხოვს. თუ ამასთან „შესაწევნელიც“ გადააგდეს, როგორც ზოგიერთმა უკვე შემოიღო, მაშინ ვერავინ შესძლებს „ტირილის გადახდას“ ან ქორწილის მოწყობას და ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ იმ ველურ მდგომარეობას, როდესაც არც ქორწილი იყო საჭირო, არც მკვდრის დამარხვის ხარჯები.

ევროპიელნი მეტად ღარიბნი არიან საერო ჩვეულებით, მაგრამ რაც აქვთ, ის მაგრა უჭირავთ. არას გზით ევროპიელი არ უღალატებს თავისს ეროვნულს ჩვეულებას. გერმანელი თუნდ კუნძულზე მარტოდ მარტო დარჩეს, მაინც შობას „იოლკას“ გაიკეთებს, ინგლისელი აუარებელ ფულს ხარჯავს, რომ მამლების ჭიდაობაზე აუარებელ ხალხს თავი მოუყაროს. ჩვენი ჩვეულებანი ყველა აზრიანებია, სასახელო და ხალხის საჭიროებაზე ზედ გამოჭრილი, და ვისაც არ უნდა, რომ ჩვენი ხალხი გაითქვიფოს გარეშე შეყრილ ხალხების მორევში და თავისი ეროვნული თავისებურობა საუკუნოდ დაჰკარგოს, ის არც ერთს ეროვნულს ჩვეულებას არავის არ უნდა უთმობდეს. მართალია, დროთა ცვალებით ჩვეულებანი იცვლებიან, მაგრამ არა არსებითად, არამედ გარეგნულად. მაგ, როცა ბევრი გვქონდა ღვინო და საკლავები, მაშინ მეტსაც ვხარჯავდით; ხოლო როცა დროთა ვითარებით შემოკლდებოდა შემოსავალი, ჩვეულებაც ნაკლებ ხარჯით სრულდებოდა და სრულდება. ამ ნაირად ჩვეულება-კი არ იცვლება, არამედ ხარჯი და ცოტაოდენ გარეგნობა ეცვლება ჩვეულებას. თვითონ ჩვეულება „სჯულზე უმტკიცესიაო“ იტყვიან და არსებითად არ იცვლება ნორმალურს პირობებში. ჩვეულებათა ცვალება ნიშანია ერის დადგომისა გადაგვარების გზაზე *).

† თ. ჟორდანია.

---

*) აქ დედანში გაურჩევლად დაწერილი სიტყვაა. უფრო „სანოვაგით“ უნდა იყოს. რედ.

*) ეს წერილი დაუბოლოვებელია. რედ.

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგ. 1915 წლის ანგარიში

ანგარიში, რომელიც უკვე დაიბეჭდა და გამოვიდა, ორ ნაწილად არის გაყოფილი. პირველ ნაწილში აღწერილია საზოგადოების მოქმედება და მთელი ორგანიზაცია, ხოლო მეორე წარმოადგენს ფინანსიურ მხარეს. ჩვენ პირველად განვიხილავთ ანგარიშის მეორე ნაწილს.

ბალანსი საზოგადოების ქონებისა საანგარიშო წლის ბოლოს უდრიდა 453,634 მან. 06 კაპ. ამ თანხაში მომგებიან ქაღალდებს პირველი ადგილი უჭირავს და მათი ღირებულობა უდრის 174,201 მან. 44 კაპ., უძრავი ქონება იყო 60,587 მან. 33 კაპ., წიგნები იყო მაღაზიაში 10,994 მან. 82 კაპ., წიგნები საწყობში 15,255 მ. 59 კაპ, კასაში ფულად 451 მან. 65 კაპ., სახელდახელო ანგარიში 20,444 მან. 14 კაპ., შენახული ფული 39,602 მან. 92 კაპ., აგენტებზე 9,474 მან. 41 კაპ., დებიტორები 97,059 მან. 04 კაპ. და სხ.

საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოებას შემოსვლია: საწევრო ფული 1.483 მან. 23 კაპ., ყულაბებით შეგროვილა 195 მან. 94 კაპ., სეირნობისაგან 2.138 მან. 29 კაპ., განყოფილებათა შემოსავლის 20% 2.007 მან. 33 კაპ., ქართლ-კახეთის თავადაზნაურობისაგან 8.824 მან. 81 კაპ., თბილისის ქალაქის თვითმართველობისაგან ნავთლუღის სკოლისათვის 500 მან., სოფ. წინარეხისაგან ადგილობრივ სკოლისათვის 80 მან., სწავლის ფული ნავთლუღის სკოლის მოწაფეთაგან 85 მან. 50 კაპ., სხვა და სხვა შემოწირულება და შემოსავალი 1.720 მან. 64 კაპ., თავნი ფულის სარგებელი და სასტიპენდიო 18.674 მან. 51 კაპ., წიგნის მაღაზიის შემოსავალი 7.833 მან. 24 კაპ., წიგნების გამომცემლობიდან 9.005 მან. 07 კაპ., დაბრუნებული ხარჯი (ალ. ხახანაშვილის დასაფლავებაზე გაწეული) 2.398 მან. 34 კაპ., წარსული წლის შემოსავლის ნაშთი 4.002 მან. 09 კაპ., საგურამოს მამულის შემოსავალი 900 მან., დაბეჭდილი წიგნები 1915 წ. 1.064 მან. 11 კაპ., სულ 60.863 მან. 10 კაპ.

ამ თანხიდან დახარჯულა იმავე წლის განმავლობაში: 1) **ადმინისტრაციული სექციის** მიერ 30 125 მან. 74 კაპ. ამ თანხაში შედის ი. გოგებაშვილის ანდერძის თანახმად სექციის მიერ მიცემული: ა) ქართულ საბავშო ბაღს 120 მან., ბ) „განათლების საზ. სკოლას 120 მ., გ) ჭრა-კერვის სკოლას 120 მან., დ) ჟურნალ „განათლებას" 300 მან., ე) აკაკი წერეთელს 100 მ., ვ) ე. ინაურს 120 მან., ზ) სტუდენტ ქ. კასრაძეს 360 მ., საგურამოს მამულის ვალის სარგებელი 1,642 მან. 84 კაპ., გამოირიცხება უიმედო აგენტების და დებიტორების ვალი 764 მან. 50 კაპ. დახმარება მწერლებს 240 მ. და სხ. 2) **სასკოლო სექციის** მიერ დახარჯულ 11,618 მან. 39 კაპ. ამ თანხიდან მასწავლებლის ჯამაგირები უდრის 7.095 მან. 26 კაპ., სასწავლო ნივთები, წიგნები და წვრილმანი ხარჯები 11 სკოლისა 755 მან. 70 კ პ., სკოლების ბინის ქირად და მსახურთათვის 707 მან. და სხვ.

3) **წიგნების გამომცემელ სექციას** დაუხარჯავს წიგნების გამოსაცემლად 1.578 მან. 40 კაპ. 4) **ბიბლიოთეკების და „სახალხო კითხვების მომწყობ სექციას** დაუხარჯავს 2.942 მან. 09 კაპ. ამ თანხიდან სექციას მიუცია დახმარების სახით თბილისის ბიბლიოთეკებისათვის 1.180 მან. 50 კაპ., საზოგადოების სკოლების ბიბლიოთეკებისათვის 304 მან., 62 კაპ., ახალციხის და უდეს ბიბლიოთეკებისათვის 130 მან., სოფლის ბიბლიოთეკებს 403 მან. 57 კაპ., ლექციების გამართვა 423 მან. 40 კაპ., და სხ. 5) **სამუზეუმო სექციას** დაუხარჯავს 2.574 მან. 27 კაპ., ამ თანხიდან წიგნებისა და ხელთნაწერების შესაძენად დახარჯულა 58 მან. 45 კაპ. გადარჩენილა ხარჯებს 12.024 მან. 21 კაპ. სულ 60.863 მან. 10 კაპ.

(შემდეგი იქნება)

ჩემი პასუხი

შემკითხველნი გაზეთ „სახალხო ფურცლის" № 688-ში სწერენ: „რაც შეეხება იმ 2000 მან. ბარათს, აქ ლუკაშვილმა შემდეგი მახინაცია მოახდინა: აგვისტოში 1915 წ. ეს 2000 მან. შესავალ-გასავლის წიგნში ასე ჩააწერინა: 2000 руб. по укрѣпленiю дома თითონ ნასყიდობა 14 ივლის დაწერილია".

აბა განვქიქოთ ეს ჭორიც. 1915 წ. 17 მარიამობისთვეს შეს.-გას. წიგნში, მუხ. 8411 შემდეგია ჩაწერილი:

Д. П. Лукашвили на расходы по утвержденiю купчей крѣпости и на покупку разныхъ товаровъ. აქ არავითარ მახინაციას ალაგი არა ჰქონდა ჩაწერის დროს და დიდ გაუგებრობას იჩენენ შემკითხველნი, როცა ამ მუხლს იყენებენ თავის გამოსვლის მასალად. ეს 2000 მან. სულ სხვა ფულია. იგი ავანსადა მაქვს მიღებული 17 მარიამობისთვეს. ავანსის თვისება, როგორც მოგეხსენებათ, ისეთია, რომ წაღების დროს მისი დანიშნულება აღინიშნება გაკვრით, მხოლოდ თუ ეს ფული დაიხარჯა, მაშინ უნდა ყოველივე ხარჯი საბუთებით იყვეს გამართლებული. ასეთი ზედმიწევნითი დანიშნულება აღნიშნული 17 მარიამობისთვეს 2000 მანეთისა. ეს 2000 მანეთი სახლის დასამტკიცებლადაც მდომებია თბილისის მთავარ ნატარიუსთან და სურსათის სასყიდლადაც ჩრდილო კავკასიაში. პირველი საქმე, ჩემდგან დამოუკიდებელი მიზეზებისა გამო, ვერ მოვასწარ მაშინ, მხოლოდ მეორე კი პირნათლად შევასრულე. ამ ფულიდგან 1,500 მან. მივეცი ბედ ყუბანის კავშირს და დავიკვეთე 400 ათასამდე ფუთი ხორბალი და ფქვილი (შეს.-გას. მუხ. 9952), 50 მან. 90 კაპ. ბლანკები და შტემპელები ვიყიდე (იქვე მუხ. 9653, 9654, 9655 და 9656), 120 მან. როსტოვიდგან 9 ვაგონი ფქვილის გამოგზავნაზე დამიხარჯავს (9775), დეპეშებზე 41 მან. 82 კაპ. (მუხ. 9888), გზის ფულად, საჭმელ-სასმელზე, ბინისა, ფაიტონებზე და სხ. სულ 145 მან. 7 კაპ. (მუხ. 9937), დანარჩენი ფული კი ნაღდად დამიბრუნებია ამხანაგობისათვის (მუხ. 9951).

აი თურმე რა საბუთებით გამოდიხართ ჩემს წინააღმდეგ და, თქვე დალოცვილებო, იკითხავდით მაინც ჯერ ამ 2,000 მან. ამბავს და მერე დასწერდით შეკითხვებს. განა საცა 2,000 მან. ნახოთ ჩაწერილი, ყველა საეჭვოდ უნდა გეგონოთ?! სად ყუბანის ოლქი, სად მოსკოვი, სად კავშირი, სად სუხოდოლსკი, სად ხორბალი, სად სახლი?!..

შემდეგ სწერენ, მითომ მე ქრისტეშობისთვემდე ვმალავდი ორი ათას მ. ბარათს.

საკვირველია, რითი უნდა მეხელმძღვანელა ამ ბარათის დიდი ხნის ჯიბეში დებით. ამხანაგობიდან მიღებული მქონდა 21,000 მანეთი. ხელწერილებიც მქონდა 21,000 მანეთისა და რომ ამ ხელწერილებიდან 2,000 მან. წერილი გადამემალა, მაშინ ხომ ეს 2,000 მან. ფულად უნდა წარმედგინა? განა ხუთთავ შემკითხველის ფანტაზიამ ამაზე მეტი ვერა გამოიგონა-რა?

2. შემკითხველნი კვლავ სუხოდოლსკის მოურაობას მიკიჟინებენ მე.

სირცხვილია, შემკითხველნო, როცა ასე დაჟინებით ბ. სუხოდოლსკის მოურაობას მაწერთ. ჯერ ეს ერთი, მოურავის თანამდებობით ვერავის დაამცირებთ. მოურაობას რათ უკადრისობთ? იცოდეთ, რომ პატიოსანი შრომით ნაშოვნი ლუკმა-პური დასაძრახისი არ არის?

ვამბობდი და ვიმეორებ: ბ. სუხოდოლსკის მოურავად არა ვარ და არცა ვყოფილვარ. საბუთები: ჯერ კიდევ ამხანაგობის მიერ სახლის შეძენამდე მოურავად განწესებული თ-დი ფავლენიშვილი ამა წლის მარტამდე იყო მოურავად. მარტიდან კი მოურავად არის სიმონ ჯიბუტი. აბა რა მოურაობას გავწევ, როცა, როგორც თქვენც თითონ იცით, შემკითხველებო, ნახევარ დროს თელავში არა ვარ. მართალია, სრული რწმუნების ქაღალდი მაქვს ბ. სუხოდოლსკისაგან მოცემული, მაგრამ შემკითხველებმა უნდა იცოდნენ, რომ ეს მოურაობას არა ნიშნავს.

დასასრულ, შემკითხველებს მოჰყავთ რამდენიმე დეპეშა და წერილი, ჩემგან ბ. სუხოდოლსკისადმი გაგზავნილი, რომლითაც მე ვცდილობდი დაპირებული 2000 მან. ამხანაგობისათვის მალე გამენაღდებინა და ამიტომ მათ შინაარსს არ შევეხები. საგულისხმოა მხოლოდ შენიშვნა ხუთ შემკითხველთა ერთ ერთ დეპეშის შესახებ. აი თითონ დეპეშა და შენიშვნაც მისი. „Василiю Петровичу Суходольскому... Прошу Васъ перевести мнѣ 2000 рублей на покрытiе долговой расписки. Ожидается ревизiя черезъ недѣлю", რასაც შემკითხველებმა დასძინეს, რომ დეპეშის მეორე ნაწილი 2000 მან. ეხება და **რევიზიის** შიშით მითომ მე ვეხვეწები ბ. სუხოდოლსკის, ფული გამომიგზავნე მეთქი. ცოტა ამის ზევით შემკითხველნი ამბობენ, რომ მითომ დეკემბერში მართლა რევიზია ყოფილა და მაშინ გაუგია რევიზიას ეს ამბავი. შევნიშნავ, რომ რევიზია მე მაქვს ნახსენები სიტყვის მასალად და არავითარი რევიზია ქრისტეშობისთვეში არა ყოფილა.

გარდა ამისა, საკვირველია, ეს შემკითხველნი რომელ საშიშო რევიზიის შესახებ მელაპარაკებიან? რა შესაშინი იყო ის ამბავი, რომ მე ორასი თუმანი შევძინე ამხანაგობას?! იქნებ ისევ იმ აზრს ადგანან შემკითხველნი, რომ მე ეს ფული ვასესხე ბ. სუხოდოლსკის, მაშინ ერთი კიდევ წაიკითხონ ჩემი პასუხები ამ კითხვის შესახებ და იქ მოყვანილი საბუთები დაიხსომონ.

ვათავებ რა ჩემს პასუხს სახლის შესახებ, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს დიდი ბოდიში მოვიხადო ბ. სუხოდოლსკის და მის მეუღლის წინაშე, რადგან მათ ჩემის თხოვნით დააბრუნეს ფული, მხოლოდ მადლობის მაგივრად მიიღეს ეგოდენი შეურაცხყოფა ზოგიერთთაგან. იმედია, ჩვენი თანამემამულე ქ-ნი სუხოდოლსკისა მაინც გვაპატიებს, ვინაიდგან ამ უმადურობაში აქაური ქართველი საზოგადოება არაფერ შუაშია და გამოწვეულია იგი რამდენისამე პირის შურიანობითა.

დ. ლუკაშვილი.

დაბა-სოფლები

ბალახანა (ბაქოს რაიონი). ვინც ჩვენს ყოფა-ცხოვრების მიმდინარეობას თვალყურს ადევნებს, ადვილად შეამჩნევდა, რომ ისეთმა დიდმა, საზარელმა და არაჩვეულებრივმა მოვლენამ, როგორიც არის დღევანდელი მომენტი, ყველგან და ყველა გამოაფხიზლა, გამოარკვია და თვითმოქმედების საერთო მუშაობის ასპარეზზე გამოიყვანა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო.. ჩვენი უნარით აღსავსე ხალხიც არ ჩამორჩა ამ საერთო წინსვლელობის და გათვითცნობიერების გზას და ქართველმა ხალხმაც უკუაგდო დამყაყებული ცხოვრების საფეხურები და მის ნაცვლად აწმყოს მტკიცედ ჩაუკვირდა. ნამყო წარსულ არხივს ჩააბრა და დაულოცა!.. ამის დამამტკიცებელ, უტყუარ ფაქტებს ბევრს შენიშნავს და დაინახავს ყველა ჩვენთაგანი, ვინც მხოლოდ ძალათი არ იბრმავებს თვალებს; ყველგან დგება ეროვნული მჭიდრო საზოგადო წრეები, ადგენენ ორგანიზაციებს და სხვა და სხვა ეროვნულ-კულტურულ გასართობებს, როგორც გონებრივ საზრდოს. დიახ, ყველა მოწადინებულია მომზადებული დახვდეს იმ საშინელ მოსალოდნელ ცხოვრების ღელვას, რომელიც ადვილად შესძლებს საშინელ კუნძულზე გარიყოს ყველა ჩვენთაგანი.

ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ სულ სხვა ითქმის ბალახანის მრავალრიცხოვან ქართველობაზე რომელთა რიცხვი ნელნელა, შეუმჩნევლად დღითი დღე მატულობს და იზრდება. უკანასკნელი მოვლენა ერთის მხრით სასიამოვნოა და სასურველიც, ვინაიდან ბალახანა თავის სიმდიდრით და სიდიადით, თავისუფლად შეედრება რომელიც გინდათ რუსეთის ერთ-ერთ დიდ ქალაქს. აკი ბაქოს უმთავრესი ცნობილ სამრეწველო ქალაქად აღიარებული—ბალახანაა. დიახ, იგი მთავარი ღერძია ქ. ბაქოსი, მისი გამამდიდრებელი ძალა ბალახანიდან წამომდინარეობს მხოლოდ. აი, ასეთ გულ-უხვ-ადგილას ჩვენი ხალხის რიცხვიც ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად მატულობს და ბევრიც თვალსაჩინო მრეწველობაშია ჩაბმული. მხოლოდ სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ მთელი ჩვენი ხალხი უმოქმედოდ, უმოძრაოდ და ტლანქად შეჰყურებს დღევანდელ ცხოვრებას, ნაცვლად მეტი გასჯა-უნარისა საზოგადო საქმისადმი. არავითარ ქართულ დაწესებულებას, არც ერთ გონებრივ გასართობს აქ ვერ შეხვდებით. მთელი ქართველი საზოგადოება უცხო საკვებებით იკვებება ხოლმე. ქართ. ჟურნალგაზეთებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ვერც სასყიდლად იშოვით სადმე და თუ გამოწერილი აქვს ვისმე—ოცში ერთს. წარსულ წელს ბაქოდან, დრამატ. კომიტეტის ხელმძღვანელობით ხშირად ჩამოდიოდენ იქაური სცენის მოყვარეთა ჯგუფი, და ბ. ვალ. შალიკაშვილის და შემდეგ ბ. ზარდალიშვილის რეჟისორობით, და წარმოგენებს მართავდენ ხოლმე. მართალია ეს წვეთი იყო ზღვაში, მაგრამ ნათქვამია: „სულ არარაობასო"... და ადგილობრივი ჩვენი საზოგადოება სრულიად მოწყვეტილი სამშობლო ხელოვნებას, დიდის ხალისით მიეშურებოდა ქართ. წარმოდგენაზე და სავსე გრძნობით და სიყვარულით ბრუნდებოდა შინ. ორთა შუა რიცხვით, თვეში თითო წარმოდგენა მაინც გამოდიოდა და წელს... წელს ესეც მოგვესპო. ადგილობრივ ინტელიგენციას ჰმართებს ამ საქმის გაძღოლა, მეტი ფხა და მეტი უნარი.

როგორც გავიგეთ, აქ აპირობენ ქართ. წ. ს. სამკითხველოს დაარსებას, თუ ესეც არ დარჩა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა... ვიმეორებ: აქაური ინტელიგენციის მოვალეობაა, ყოველ კულტურულ საქმეს გულისყურით მოეპყრან ჩვენი ცხოვრების სულიერად გაუმჯობესება-გაკეთილშობილებას და მის აყვავება-აღორძინებას.

თენგიზი.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენის პატივცემულ გაზეთის მე-235 №-ში ამოვიკითხე საყურადღებო წერილი „თეატრის მეგობრისა", რომელიც გვირჩევს საშუალებას თეატრის ასაგებად. აღძრული საკითხის გამო გთხოვთ დაუთმოთ ადგილი ამ ჩემ პაწია წერილსაც.

არა ერთხელ მქონია ლაპარაკი ჩემს მეგობრებთან და ნაცნობებთან იმის შესახებ, თუ რა საშუალებით შეიძლება აშენდეს თეატრი თბილისში და ქუთაისში და ყოველთვის ის აზრი გამომითქვამს, რომ იმ საშუალებით, რომელთაც მიმართეს თბილისის და ქუთაისის დრამ. საზოგად. გამგეობებმა, თეატრის აშენება ძლიერ დაგვიანდებოდა და გაძნელდებოდა. ჩვენს შეგნებულ საზოგადოებაში ბევრი არ მოგვეპოვება ისეთი, რომ ხუთასი ან ათასი მანათი გამოიღოს რომელიმე საქველმოქმედო საქმისათვის. ერთადერთი იმედი იყვნენ და არიან ჩვენი შეძლებულნი ქველმოქმედნი, როგორიც იყო ჩვენი ერის სიამაყე აწ განსვენებული ეკ. სარაჯიშვილისა, რომლის წყალობით საძირკველი ჩაეყარა ქუთაისის თეატრს და უზრუნველ შეიქმნა მომავალში არსებობა თბილისის ქართული თეატრისა. სამწუხაროდ, ასეთი ერთი-ორი თუ გამოჩნდება და შეიძლება არც აღმოჩნდეს მეორე ეკატერინე.

ჩემი აზრი ხშირად გამომითქვამს და დღესაც განვიმეორებ, რომ თეატრის თუ სხვა მაგისთანა დაწესებულების აგებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა ერმა თავის მცირე წვლილის შეტანით. მაგალითად მომიყვანია ხოლმე სახალხო თეატრი პრაგაში, რომელიც აშენდა სულ უბრალო საშუალებით, თუ არ ვსცდები, თითო ჭიქა ლუდზედ შემოღებული იყო ძლიერ ცოტა ზედმეტი გადასახადი.

დიახ, ჩვენშიაც უნდა მიიღოს მონაწილეობა ფართო მასამ და, რამდენადაც შესაძლო იქნება. მთელმა ერმა ამის სისრულეში მოსაყვანად შეიძლება მივმართოთ იმ საშუალებას, რომელიც მოყვანილი აქვს თვის წერილში ბ-ნ „თეატრის მეგობარს". ჩემის აზრით, ეს წინადადება მისაღებია, მხოლოდ ვერ დავეთანხმები პატივცემულ ავტორს ზოგიერთ საკითხებში. მაგ.: 3 მილიონ ბილეთის გამოშვებაში სულ შვიდასი მომგებიან ბილეთით. მკითხველი დამეთანხმება, რომ ძლიერ უმნიშვნელო შანსი ექნება ერთი ან ათი ბილეთის მქონეს. რა თქმა უნდა, თავის დროზედ, თუ წინადადება პრინციპიალურად მიღებულ იქნა, საკითხი ყოველი მხრით შემუშავდება, მაგრამ მე მაინც მივსცემ ჩემს თავს ნებას შევიტანო პატივცემულ ავტორის გეგმაში ჩემი შესწორება. ჩემის აზრით, ბილეთები უნდა გამოიცეს სამი მილიონისა, თითო ბილეთის ფასი დაინიშნოს ხუთი მანათი. ბილეთს ექნება ხუთი „კუპიური", ასე რომ თითო „კუპ ური" ეღირება თითო მანეთად და მოგებაც შეხვდება ერთი მეხუთედი. ამით საშუალება მიეცემა მსურველს ერთი მანეთითაც მიიღოს მონაწილეობა. საორგანიზაციო ხარჯებისათვის საკმარისი იქნება ასი ათასი მანეთი (შეიძლება არც დასჭირდეს) და მეორე ასი ათასი მიემატოს ლატარიის მოგებებს, ე. ი., მოსაგები თანხა გადიდდეს ექვსასი ათასამდის.

ორასი ათასიანი მოგება სულ მოისპოს და სამაგიეროდ გამრავლებულ იქმნას წვრილი მოგებანი, რომ ექვსასი ათასი ხვდეს არა 700 მოგებას, არამედ 2869 ბილეთს და მაშინ შანსი მოგებისა უფრო მეტი იქნება და, მაშასადამე, ბილეთები უფრო ადვილად გასაღდება.

1	მოგება . . .	100,000	მან.
1	„ . . .	50,000	„
1	„ . . .	25,000	„
2	„ . . .	20,000	„
4	„ . . .	20,000	„
10	„ . . .	10,000	„
200	„ . . .	100,000	„
250	„ . . .	75,000	„
2000	„ . . .	200,000	„
2469	მოგება . . .	600,000	მან.

ამრიგად გამოცემული იქნება სულ 600,000 ბილეთი, ნაცვლად სამი მილიონისა და მოგება კი შეხვდება 2469 ბილეთს. ასე რომ ყოველი ერთი მოგება შეხვდება ვარაუდად ორას ბილეთს და არა 4000 ბილეთს.

ქართ. თეატრის მოყვარული.

შემოწირულება

გიგზავნით თუმანს ავადმყოფ ვ. გუნიას გადასაცემად.

ვასილ კირვალიძე.

ბაქო.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

ტფილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58 „	დილ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.48	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3, .	6 „ 24 „	საღ.

სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი „გონოზანით". ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

ჩვენი გარანტია.

თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშუალებაა. საშუალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 отд. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвалская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

თუ გსურთ,

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის სყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

მიმართეთ
ცნობის კონტორას
ი. თ. გვათუასას

თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა
გასწევს როგორც ქალაქელთა
ისე ქალაქ გარეშელთათვის.

[illegible] დილ.

ყველა საქმეს [illegible]
და პირნათლად ასრულებს.

◆◆ ხელმისაწვდენ ფასებში ◆◆

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора

გამოიცა და იყიდება

კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში

(ქუთაისში)

რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое Слово" ნაწ. I, მეორე გამოცემა. უხვად დასურათებული, შედგენილი **ს. ოცხელის** მიერ. ფ. ყდით 2 აბაზი.

ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა") თანაგრძნობით შეხვდა.

პრაქტიკის მქონი მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ „Новое Слово"-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.

სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова" имѣетъ несомнѣнныя достоинства, и умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово" можетъ быть признано вполнѣ подходьщимъ руководствомъ для грузинскихъ народнихъ школъ".

(თ.—225—)

ქ. თბილისში, ოლღას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია

„განათლება"-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „საქართველო", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება",", „სახალხო ფურცელი", „ზეირთი", ჟურნ. „განათლება" კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა".

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეძველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. შაიდოვის-შვილთ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „უმშენზე" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორჯი და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება" კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.